

7005

ქართული
ენის-საზოგადოებრივი

საქართველო



გამოსულია 40



შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილი“-სა.

I. ქალაქ გორის უბედურება (სურათები).	2
II. პაწია მეგობრები. ლექსი გ. ქუჩიშვილისა (სურათით)	3
III. პაპა გადარჩა! მნახველისა.	5
IV. სტუმრები ეგვიპტიდან—ილ. ალხაზიშვილისა	8
V. მურზილკას თავგადასავალი ანუ ჯუჯათა სამეფო.	15
VI. კახეთში—ნ. მკედლიშვილისა	23
VII. კუკურის ქვირო—დ. კასრაძისა.	28
VIII. ხვლიკი—ელენესი	32
IX. ტახუნჯელა (ზღაპარი) დაწერილი ქეთო მირიანაშვილისა	46
X. მთა და ბარი (იგავ არაკი)—ი. სიხარულიძისა	
XI. თქვენც იმეორეთ!—ი. ცქვიტი.	48
XII. მიწის ნძრევა და ვულკანები—ილია ალხაზიშვილისა.	51
XIII. ძილი (სამეცნიერო ნაწყვეტებიდან)—ი. თიქანაძე.	57
XIV. ქვის ლომი—ა. ფ.	59
XV. სხვა და სხვა ამბები.	62

ჟ უ რ ნ ა ლ ი

1920 წ. **ჯ ე ჯ ი ლ ი** 1920 წ.

რედაქცია შეეცდება გამოვიდეს წესიერათ და ყოველი დაბრკოლება აიცილოს თავიდან.

თითქმის ყველა ძველი წლების ჯეჯილები იყიდება რედაქციაში და ღირს თითო წლისა 30 მან.

345
1920/2
საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს

19507
382
F 10144



საქმეწვილო

ნახატებიანი



მხატვრული მუშაობა დაკავშირებულია
დაბეჭდვით, ვახდის ყანაობა



თებერვალი, 1920 წ.

ფელიჩადი მამოცლათიერთმება

ქალაქთა კავშირის სტამბა, პუშკინის ქ., 3.

ქალაქ გორის უბედურება.



ქართული
ბიბლიოთეკა



ოქონის ეკლესია.



ქალაქი გორი.

ჰაწია მეგობრები.



დ ა რ ი კ ო :

— ამარჯობა, როგორა ხარ,
ჩემო კარგო დანია?

ქ ე თ ი ნ ო :

— ქალო, რაღა როგორა ვარ,
ავადა მყავს ბანია.



დ ა რ ი კ ო :

— ქაა, რა დავმართა,
ხუმრობ, თუ მართალია?

ქ ე თ ი ნ ო :

— რა ვქნა, რა მეხუმრება,
გულს მეღება ალია!

დ ა რ ი კ ო :

— მერე, გყავდა ექიმთან?

ქ ე თ ი ნ ო :

— მყავდა. სწორედ ეხლახან
ქინაქინიც დალია.

დ ა რ ი კ ო :

— ჰოო, ნუ გეშინიან,
გაციების ბრალია.

ქ ე თ ი ნ ო :

— სუუ, ჩუმაღ, გეთაყვა,
ძლივს მიღულა თვალია.

დ ა რ ი კ ო :

— უი, ლოგინში გიწვეს!

ქ ე თ ი ნ ო :

— ჰო. მინდა რომ იძინოს.

დ ა რ ი კ ო :

— მართალს ამბობ, ქეთინო,
იქნებ ოფლიც იძინოს;
მშვიდობით, გენაცვალე,
ღმერთსა ვთხოვ, რომ გილხინოს
და ეგ შენი ბაია
სულ მალე მოგირჩინოს.

გ. ქუჩიშვილი.



ზაზა კადარჩა!

(20 თებერვლის მიწის ძვრის ამბებიდან).



თებერვლის 20-ში სოფელ სიდის-
თავს ავი დილა გაუთენდა, ღამის
3 საათზე მიწის ძვრამ სასლები
დანგრია და საცოდაობა დაატრიალი.
ბევრს შეოჯახეს სამარედ უქცია საკუთა-
რი სასლ-კარი. შემდეგ რაც ზირველმა
მიწისძვრამ დააკლო საცოდავ მცხოვრებ-

ლებს, ნაშუადღევის 3 საათის მიწისძვრამ შეუსრულა:
ხან ერთ ხანგრევიდან ამოჭყავდათ ცოცხალ-მკვდარი
და სამუდამოდ დასახინრებული, ხან მეორიდან. დავდი
ოდი და გული მიწუსდებოდა საძინელი სანახაობით.
ვცდილობდი დატანჯულთათვის რაიმე ძალაში დაქედო,
მაგრამ ვერას ვახერხებდი, ხელები მიდუნდებოდა. საი-
თაც კი მივტრიალდებოდი საცოდავად ტიროდენ და
მოსთქვამდენ: ვაიმე შვილო, ვაიმე დედა, ვაი, მამა
დაჟვარგეო, ერთს ადვილას განსაკუთრებულმა ქრია-
მულმა შემახერა.

— ზაზა კადარჩა! ზაზა კადარჩაო! — მოისმოდა
ერთი ჯგუფიდან სადაც დიდი და ზატარა შეგროვილიყო.

— დახე ერთი, სასლმა არ დაიტანა, შეიბრალა
თითქოსო და იმ ოხერმა დუქანმა კი ცოტა გაწვდა
არ მოკლათ!



ქართული
საბჭოთაო
საბჭოთაო

— აბ, მამა, იმ ქალმა მოარჩინაო, აი ქალბქელმაო!

— სოფოძაო, სოფოძაო!

ამ მსხილმა ჩემი ეურნადლება მიიქცია, გამოკვით-სე, თუ ვინ იყო ან ჰანა, ან სოფო და ან სად იყო ეს ქალი, რომლის სასული ძალი-ძალ მადლობით ის-სენიებოდა და წამდაუწუმ ზირიდან-ზირში გადადიოდა.

— განა არ იცი სოფო ვინ არის?— მომიტრია-ლდა ერთი სიდიდისთაყელი.— ჩვენი სოფო. დღეს ის რომ არ შეგვსწრებოდა, ვაი ჩვენ უბედობას მაძინა...

— სად არის ესლა?

— სად არის? რა ვიცი. ის თუ ეველას არ გა-სწვდა, ვერ მოისვენებს. ესლა უთუოდ ან ვისმეს აბ-რუნებს, ან კიდევ ჭრილობას უხევეს.

— იცი როგორ გადაარჩინა ჰანა?— მითხრა ერთმა ზატარამ.— ჰანა ძვედარსა ჰკავდა, მივიდა სოფო რა-ღაც მიხდო ცხვირზე და თვალები კი განაჭყეტინა. ის ჩემი ჰანა და ძალიან გამეხარდა... ცოცხალია-მეთქი, ცოცხალი, და ვიუვირე განხარებულმა.— ბავშმა მე თა-ვი მანება და იქვე მდგომს მიძართა.— იცი, ჰანა რომ გადაარჩა, ასე შეგონა სასლებიც აღარ დაგვეზგრა-მეთქი.

— დმერთო რა არი ე სოფო,— დასძინა ბავშვის სიტყვებს ახლო მდგომმა მამაკაცმა.— კაი ვაჟკაცი ვერ აჯობებს. მოგვიყარა თავი შარა გსასე მძალი ვივი-ლისასი, იმის შემდგომ მიწა რომ ინძრა და სასლებში აღარ გვიშვებდა. ნუ შესჯალთ საღსო, შეიძლება კი-დეგ მოხდეს მიწისძვრაო. სწორეთ რომ გულთმისა-ნია ე სულით განათლებულის შვილი. ჩვენ კაცები რომ კერძები ვართ, მეტადრე სოკი ერთი. აი იმ



ოსკრ დუქანში მოვუგროვდით, ქესტის ფეხსე ხელეობს
 ვითობდით დამპყიდულებნი და წუსხანდელ უბედურო-
 ბასე ვუყავნებდით. როდი ვუკეონა რომ ის ოსკრი დუ-
 ქანი დაინგროდა. ძალიან ცოტათი იყო დასიანე-
 ბული. ბეგრი დუქნის წინაც იდგა. უცბად, კაცო, რო
 დაიწვეს კედლებმა სრიალი, სულ დაუბენით! როგორ
 გადავრჩი, მე თითონ აღარ მასსოვს. ვნახოთ და მე-
 სმის, ზანა დუქანმა დაიტანაო, ვვირის ერთი მხდი-
 ლოსანი, — უძველეთ, თქვენი ჭირიძე, უძველეთო. გავი-
 სედე და აკი ერთი ვაჟიშვილი ალე სა ჭერაშვილს
 არ მოასვენებს! 80 წლის მოხუცია, კაცო, მაგრამ
 ძინც დამენანა, ძალიან საუვარელი კაცია... გაჩნდა
 კაცო ე სოფო და აკი სული არ ჩაუდგა! ალექსი
 იხუფწებოდა: ნუ მომკლავთ, მიძველეთო. სული ტები-
 ლია. — აკე კაცო სოფო, აკე. — წამოიძნა მთხრო-
 ბელმა. — კიდევ ვიდაცას აბრუნებს. დიერთო, რა ადა-
 ძიანია! კაი ვაჟკაცი ვერ გასწევს მაგოდნობასა, ხან
 სად გაჩნდება და ხან სადა.

ამ სიტუეებზე მიუტრიალდი მეცა და დავინახე
 შუა ხნის სმელ-სმელი ქალი მისყრებია გულწასულს
 დედაკაცს და სასუნებელს ადებს ცხვირზე. მოიუვანა
 თუ არა გონს ადამიანის ლრება, სწრაფად სხვა მხა-
 რისაკენ გაემურა. ბეგრი უკან აედგნა, თითქოს ეძი-
 ნოდათ, რომ ჩამოვრხეთ კიდევ უბედურება დაგვეძარ-
 თებო. მეც გამოვუვიდე უკან. მინდოდა გამეცნო ის
 ვაჟკაცური ქალი, რომელსაც მთელი ხიდის-თავი აღ-
 მერთებდა.

სტუმრები ეგვიპტიდან.

თებერვალი დადგა,
 სემა წყალი ჩადგა,
 ჩიტმა ჩიორამა
 სძიარკველი ჩადგა.
 (ხალხური).



მოგილოცავთ, ეძაწვილებო, გასაფხუს
 —თებერვალი ჰბერავსო, მარტი ტევას
 ჰკერავსო, აპრილი აჩქარებულა, სას-
 ნის საკვეთს სწვერავსო...

მაგრამ უფრო, დიდი სინარული,
 დიდი დღესასწაული უნდა მოგილოცოთ:
 სტუმრები მოგვიდიან, სტუმრები!... მო-
 დიან კი არა და მოფრინავენ საქართვე-
 ლოს შვილები ჰირდაპირ ეგვიპტიდან.—აბა, ახლა
 თქვენ იცით, ეძაწვილებო, როგორ სტუმართა-მოგვა-
 რეობასაც გამოიჩინო. თქვენი წინაპრები ქებული და
 განთქმულნი იყვენ ჰურბდობით და თქვენც ვინმე
 დიწსეულათ შეინახოთ ძამაძანის სასიქადულო სახელი...

აგერ მოძიები კიდევ მოვიდენ, მისისამოსულისას
 გულის ითობენ, გალობენ, ჭეჭეჭეობენ, შემოგტრფიან
 ეთქვენ, შეჭხარიან მზის სხივებს. საცაბა მერცხალიც
 ღვა, მონახავს თქვენს დერეფანში მარძანდელ ბუდეს.
 დილაადრიან დაიწეებენ ჩამოლოცვას, ჭეჭეჭეობენ;
 ჭიკ-
 ჭიკს—გამოვადგილებენ—დროა სკოლაშიო.

თათრული ანდასა: „საჭკის კელმადი, დაჭკუს
 ელმადი“ (თუ რვას არ მოვიდა, ცხრას მოუსვლელი
 არ დადგება*). ეს ანდასა ხალხს გამოუთქვამს ლაგ-
 ლაგის შესახებ. მაგალითად ჯაფანეთში, ეგელა სო-
 ფელში, ძალადი ბოძი ურჭკია, თავსე ჩამოცმული
 აქვს ურძის თვალდი, აი ამასედ ამენებს ლაგლაგი
 თავის შესანიშნავ ბუდეს—აწეობს ფიჩხს, კაჭაჭებს,
 მერე შიკ ბუდეში ჩაღა ბუღას აგებს, რბილ თივას,
 უფრო რბილ ხავსს და ძეუდგება მოძაფლისთვის
 სრუნვას. კვერცხს სდებს, გამოსჩეკს, გამოხდის შვი-
 ლებს და სხვა. მე თვითონ თვალ-უური მიდევნებია.
 მართლაც და ლაგლაგი არ დასცდენია, თავის ზირო-
 ბისთვის არც ერთხელ არ უღალატნია. თუ რვას არ



მოსულა, შევხედავდი და დილაადრიან
 ცხრა მარტს, (აქ ვგულისხმობთ ძველ
 სტილს,) დარბაჯივით გამოჭიმულა,
 ამაუთ სდგას თავის ბუდეში აულა-
 ეუდა ლაგლაგი. შეიძლება ისევ აციფ-
 დეს, თოვლიც მოვიდეს, მაშინ ქვევით წაგა სერთვი-
 სისკენ, მტკვრის სეობას შეაფარებს თავს, სოლო რა
 წამს ჩამოთება ისევ თავის ბუდესკენ მოაძურებს. ხალ-
 ხი დიდს მყარელობას უწევს ლაგლაგს—არ ეოფი-
 ლა ჯერ მაგალითი, რომ ვინმე უდიერად მოქცეოდეს.
 მოკვლით კი, აბა, ვინ იქნება იმისთანა თავსედი და
 თუ გაბედა ვინმემ, თითონ იმასაც სედ მიაუოლებენ.

*) იგულისხმეთ 8—9 მარტი.



* *

მამ კავისაროთ, ბავშებო. მოდიან, მოყრინავენ, უნდა გადმოიარონ, გადმოლახონ ზღვა-ოკეანე, მაგრამ ესეც არ აუერსებს მათს კულის წადილს, ივინი მოეძურებიან, მოუსარიანთ თავის სავუარელ სამშობლოსკენ—იქ სადაც დაიბადენ, სადაც ეკულვით თავისი ბუდე, სადაც აახილეს თვალი და ზირველათ მიესალმენ მზის ცხოველ მყოფელ სსივებს. მოდიან, მოიძღვრიან, მკვავრულით, მავრულით; მსიარულიის ჭიკჭიკით, კალობით მოედებიან ტეესა და ველს, მთასა და ბარს, კუბე-ჭაობებს, ჭალა-დელეებს, ახმავრებენ, სულს ჩავუდგამენ მთელს არე მარეს. მონახვენ თავიანთ სადგომ მარშანდელ ბუდეებს, საქორწილოთ მოირთვებიან, შეიმოსენ ტანს საუცხოოთ ჭრელ ფრთებით, ზისილ—ზინილათი, გამოსსიკეენ, დასდიან შეილებს და ასე ვიდრე შემოდგომის ცივი დამეები აგრძნობიებთ მათ, რომ ახლა კი დროა სამშობლოს ცოტა სნობით გამოვეთხოვოთ. მამ აბავქაწვილებო, 7-8 თვე ჩვენსა უნდა გაატარონ და აბავინძლო თავი არ შეირცხვიანოთ, მტრულათ არ მოვეძვით, ისინი დახმარებან არავფრში არავ კვსთხოვენ. საშინელი შრომის მოევარენი არიან. საქართველოს ბუნება, ღვთის მადლით, უსვია. სასრდონაკეებავი ეველაფერი მზა-მხარეულია. ეს მშვენირი ჭავა და გამდიდი სუფრა ბუნების მეჯლისისეა.

იმ დღეს ლავლავის წინამძღოლობით ორმა მერცხალმა (დელეგატები ვართო) არსა შემოიტანეს „ჯე-

ჯილის“ რედაქციაში. აი შინაარსიც: „ჩვენ ამის ხელის მოძვენი, საქართველოს შვილები, გთხოვთ მტრულათ ნუ მიგვიღებთ, ჩვენ მოკვდივართ ჩვენს ძამა-ზაზუელში. ღმერთმა სომ იცის, ჩვენ არაფერს გასარალებთ. ზირიქით ჩვენ ჩვენის ნება-ყოფლობით ზირობას ვაძლევთ და ვიცავთ თქვენი ნათესები: ეანა, ბადი, ბოსტანი და სუარ-ვენასი ათას გვარ მხენე მწერისა და ჭია-ღუასაგან, ვაძლევთ სიტყვას ყოველ ცინძარე დღე გაუნადგუროთ, ვადაუვლანოთ ათასი ფუთი ჭია-ღუა. ამის ჯილდოთ ერთ რამეს გთხოვთ: ნუ დაგვიძლით სოღმე ბუდეებს, ნუ გვპარავთ კვერცხებს—რადაც ოთხიოდე დაწინწკლულს კვერცხს ვსდებთ, იძასაც არ გვაცლით სოღმე გამოფხეკოთ—გთხოვთ, ბავშებო ნუ აწვალებთ, ნუ აწიოკებთ, ნუ სოცავთ, ჩვენს უძვეო ბღარტებს, მოიგონეთ თქვენი მშობლები, ჩვენც მშობლები ვართ, ნუ ჩადგებით ჩვენს ცოდვადი.



სოღო თქვენ, მონადირენო, მსუნაგებო, დარგპურთ ნეტა ჩვენი მხიარული ჟივილ-სივილი, სტვენა-



გალობა, რად გვიხიზობთ უღრმოდ ისეც მოკლე სიცოცხლეს? ანგარებით გატაცებულნო, ჩვენსედ სმარობთ ძალას, ჩვენის ხორციით გინდათ სიმდიდრე შეიძინოთ, ჭარბი სისხლით იცხოვროთ. ერთსულაც არ დაუიქრდით: აბა, რას ეგვანება თქვენი კარმიდამო, მინდორ-ველი, მთა და ბარი, ჭალა-ღელე, თუ ჩვენ, ფრინველებს მოგვიხიზობთ სიცოცხლეს, თითქოს ავასაკნი ვიუვეთ, სამძობლოს მტერი ვიუვეთ, ისე დაუნდობლათ ეელსა გვჭრით. უჩვენოთ, თუ კი ჩვენ გაწუდებით, ნეტავ თუ რას დაეგვანება საქართველოს კეკლუცი საოცნებო ბუნება, სწორეთ ეგვანება ქორწილს, სადაც არ ისძის არც სიმღერა, არც გალობა. მაშინ საქართველო დაეგვანება მწირ უდაბნოს—სახარას, სადაც მკვდარია ქვეყანა. ან რას ჩაიკვლევთ თქვენი ნათესებიდან უანა-ბაღ-ბოსტნიდან, როდესაც დაესვევიან ჭია-ღუა-მატლები და დაუვაჟილებასაც არც კი დახვლიან.

ამ ჰეტიციანზე ხელს აწერენ:

- 1) ბულბული. 2) ბზე-წვია. 3) ბატი (გარეული).
- 4) გედი. 5) გარიანი. 6) გურიტი. 7) გნალი. 8) გუგული. 9) გულ-წითელა. 10) თურჯი. 11) იხვი (გარეული). 12) კვირიონი. 13) კოდალა. 14) ლაგლაგი (ვარუატი). 15) მერცხალი. 16) მოლადური.
- 17) მტრედი (გარეული). 18) მწეერი. 19) მწეერ-ჩიტა. 20) ნიბლია. 21) ოფოფი. 22) ჭიუ-ჭავი. 23) როჭო (ტეტექსი). 24) სავათი. 25) სარსარავი. 26) ტარბი. 27) ტოროლა. 28) ტეის-ქათამა. 29) ქედა-

ნი. 30) დაღლა. 31) ღობემკურალა. 32) ეანა. 33) ეან-ეანი. 34) შოშია (შროშანი). 35) შურთსი (შთის ინდაური). 36) ჩიტ-ბატონა. 37) ხსართვი. 38) წიწკანა. 39) წერო. 40) წვალ-წვალა 41) ჭვინტა. 42) ჭილ-უვავი. 43) ჭკა. 44) ჭოვილო. 45) ჯაფარა და ჯისოლა. და რადგანაც წესით არი რომ კენტი უნდა იყოს სელმოწერა, ხმა აღმაღლა ჩიტმა ბელურამ და სელი მოაწერა (მე უფრო შწარეთ მატირებენ სოლ-მე ბავშებიო—მინგრევენ, მიძლიან ბუდეს, მისოცა-კენ ბლარტებს. მეც არ ვიცი რომელი ერთი შემოგ-ჩიულთო. ხმა გაკმინდეს მსოლოდ ონაჯარმა მტა-ცებელმა ფრინველებმა: არწივმა, ძერამ, ძაჯარდენმა, ქორმა, მიძინომ, კირკიტამ და სხვა მონადირე ფრინ-ველებმა, როქელნიც აღმაიანსე უარეს დღეს აუენებენ მშვიდობიანათ მცხოვრებ ფრინველებს.

ამ არსის მორთმევის ამბავი კაკაბმა რო გაიგო, სწრაფად მოახდინა კრება. დაესწრო ეველა ის ფრინ-ველი, რომელნიც სამთრობითაც ჩვენსა რჩებიან. კრე-ბას ამშვენებდენ: ძაძვი, კაკაბი, ხონობი, სამთრის ჭრელი ჩიტები ტეისა და სხვა. ესენიც თხოულობენ, ეძაწვილებო, თქვენს ძვარველობას. მეტადრე ხონობი და კაკაბი ძრეელ სჩივიან: „ჩარა, საცაა ჩვენი ხსე-ნება სულაც გაწელება, ისე უდმერთოთ, დაუნდობ-ლათ გუქცევინან მონადირენიო. ნეტავ თუ რას არ იკონებენ ჩვენს გასაწევეტათ! თოფს ვინდა სჩივის. ორ-მოს გვითხრინან, ბადეს გვიკებენ. შთის ჩიტები კიდევ იმას სჩივიან, რომ როდესაც დიდ თოვლს დას-



ქართული
ლიტერატურა

დებს, ტყეში ვეღარას უძოულობთ საჭმელათ. რწი-
ოდე კვირით სტუმრათ ვეწვევით სოლმე სოფელს
და იმის მაგიურათ რომ ბავშვებმა შეკვიბრალან, თა-
ვის ნასუფრალთ გაგვიძისნინძლდენ—იგინი—აბა,
ბიჭებო და ჭა! კაკანათს კვიგებენ, ძუას აბამენ და
სინარულთ ცას ეწვეიან სოლმე როცა დაგვიჭერენ
და კისერს მოგვიგრესენ. იმას როდილა ფიქრობენ,
ჩვენც გვეავს მშობლები, ან შვილები რწებიან ობლათ.
ჩვენც გვინდა ძესე უცქიროთ, ვიცოცხლოთ, გავი-
ხაროთ. აბა რა გაგინდებათ, ბავშვებო, რას გაგამ-
ლობთ ჩვენი ერთი ლუკმა სორცი. სამაგიეროთ რამ-
დენს განადმოუნებთ სოლმე, როდესაც მოწვენილ სამ-
თარში კარ-მიდამოს ავატრელებით, ავანძაურებთ სოლმე.

ილია ალხაზიშვილი.





როგორ გაჩნდნენ ჯუჯები თოვლის სამეფოში.



უჯებმა გაიარეს ბევრი თოვლ-მინდვრები, ჭაობები, — კარგა დიდი მანძილი და ბოლოს მიუახლოვდნენ ეინულის და წვევდიანის სამეფოს. იქ დაუსვდათ ცეროდენა გოგონები — თოვლის ფიფქები, ვარსკვლავებით მორთულნი. გოგონებმა სიამოვნებით მიიღეს ჩვენი მოკვარები და მიასწავლეს გსა.

ფაფუკი თოვლი იდო კარშემო. ამათ ვერცკი გაერჩიათ ოკეანსე არიან თუ დედამიწასე. ღამე ისეთი



ქართული
ენის ინსტიტუტი

ბნელი იყო, რომ თვალში თითი გატაკებისათვის
ჩანდა, თუმცა ცახე ვარსკვლავები ანათებდნენ.

ჩვენმა პატარა ფერებმა არ იცოდნენ რა ექნათ.
მურსილკასაც კი ენა სასას მიეკრა. მაგრამ უცნაო
საოცარი რამე მოხდა! ცა მოიჭედა სხვა და სხვა ფე-
რი რგოლებით. რგოლები მოდიოდნენ ერთი გვირგვი-
ნიდან, ეს რგოლები თანდათან ნათლდებოდა, ერთ-
ბაშათ მთელი ცა აკაშკაშდა, ცისარტყელასავით აფე-
რადდა და დედამიწა მის ნაპერწკლებით მოიფინა. ჯუ-
ჯებმა აღტაცებით შეჭყეორეს: თოვლი, ყინული... და
გარშემო ეველათფერი განათდა. მათ თვალწინ გადაე-
ძალათ როგორც ბრჭყუიალა ბრილიანტი: მთები, დე-
დამიწა, სასახლეები, აკლდამები...

— ეს რა ამბავია? — ეკითხებოდნენ ერთი მეორეს.

— ძამიებო! — დაიუვირა მურსილკამ, — სედავთ ვი-
დაცანი კვიანლოვლებიან.



ჯუჯებმა იქით გაიხედეს, საი-
თაც მურსილკა უჩვენებდა, და და
იწუეს სმა ამოუღებელი ლოდინი.

მათი აღტაცება უსასღვრო იყო,
როდესაც თავიანთივე მსგავსი ჯუ-
ჯები დაინახეს.

ესენი სისარულით ერთმანეთს მივარდნენ. მურ-
სილკამ მაძინვე შეაძინა მათი უცნაური ტანისამოსი.
ისინი ხუთნი იყვნენ: ერთი ესკიმოსი იყო, მეორე
მესღვაური ლურჯი პერანგით და ლურჯივე ქუდით,
რომელსედაც ღუსა იყო გამოსასული. მესამე ოსმა-



ლო, მერე ჩინელი გრძელი, ფეხებადის დაკიდულ
ნაწნავეებით და ექიმი ფრაკში გამოწვობილი, ძალადი
ქუდით.

— საიდან გახნდით ამ მხარეში?—ერთხმათ ჰკით-
ხეს ჯუჯებმა.

— ნურც კუპკითხებით!—კოდებით წამოიძახა ჩი-
ნელმა, რომელსაც მურხილკამ ნაწნავეებში სტაცა სე-
ლი.—ჩვენ მშვენიერათ ვცნოვრობდით მუდამ ამწუნე-
ბულ ბაღში, ღუთისაგან დალოცვილ ქვეყანაში, არ
ვიცოდით დარდი და ნაღველი, სანამ ამ არამხადას
(ძან უჩვენა ესკიძოსზე) ფიქრათ არ მოუვიდა მოგ-
საურობა და ჩვენც არ წაკვანახლისა. რომ ვიამბოთ,
თუ რამდენი ვანი-ვაგლანსი გამოვიარეთ, ძლიერ შორს
წაკვივანს. კარგა ჰხედავთ რა ეოფაში ჩავცვივდით აქ:
სასტიკი ქარი შეუწვევტლივ. ბობოქრობს მთელი
სამთარი, თოვლი თითქმის თავზე კვანწევს, სულიერს
არა ვხედავთ, ვარდა თეთრი დათვებისა. აბა რა სე-
ირში ვიქნებით!

— ხალსზე კი არას ამბობ?—ჩაურთო სიტყვა ზა-
წია მესღვაურმა.

— რომელი ხალსი?—ტირილის კილოთი სთქვა
ესკიძოსმა—ეკენი ჩვენზე უფრო უბედურნი არიან;
დაიკვიანეს, საბრალოები დროზე ვერ გაჰქევენ სომალდს,
დილით როდესაც გაინედეს-გარშემო დაინახეს მხოლოთ
ფრცელი, სარკესავით სწორე ოკეანე. რადას გააწვობ-
დენ, იდარდეს, ინადულეს და ოკეანეს ნაპირას დაბი-
ნავდენ. ეინულის ფარდულები გაიკეთეს, თოვლით

F 10 144
F 25
1950s





დატკეპნეს, ბარკს თავი მოუყარეს და მესამე თვეს სანაპიროს კანსაცდელში სცხოვრობენ. სასრდო უთავდებათ, სიციფით და სიმძილით ფესსე ძლივსღა დგანან და უოჯელ წამს ეძინიანთ თუთრმა დათემა არსად მოგვაგნოსო. ვინ იცის კანსაფსულამდის კაატანენ თუ არა!

ამის გამკონი აცრემლებულნი ჯუჯები ზატარა მუშტებით იწმენდენ თვალებს.


— ჩვენ უნდა იმათ უშუკლოთ, უსათუოდ უნდა უშუკლოთ! — დაიწრინენ.

— წაკვივანეთ იმ უბედურებთან!

ჯუჯებმა კულსე გაიკეთეს გვიძრის ყვაული, უხინძანინი განდენ და კანწიეს. ძაღუ მიუხანლოვდენ იმ ეინულის ოთხ ფარდულს. ფარდულების შიგნითა მოწუბობილობამ კააოცა ჯუჯები. თითქმის ცარიელი იყო. შუა ადგილას ენთოთ ვეშანის ქონი, რომლის სანაკელი სუნი იქაურობას აეროლებდა; სუთი კაცი მოსხდომოდა ამ სანათურს და თებოდენ. ისინი ირმის ტეაუში ივენენ კანსეულნი, მაგრამ ეტეობოდათ სიციფუ ძალიან უჭირებდა საქმეს.

ამ საბრალო მონადირეებს ადრეულმა ჩრდილოეთის სამთარმა მოუსწრო და რამდენიმე თვე უნდა ამისთანა სასტიკ ქვეყანაში დარჩენილიყვენ. მათ სანაპირო სიმძილი მოელოდათ, რომ სულსე არ მოსწრებოდენ კეთილი ფერები — ჯუჯები.

ესენი დაბინავდენ ამათთან და რითიც შეეძლოთ მუკლოდენ: მთელი დღეები დარბოდენ თავიანთ ზა-



ქართული
ლიტერატურის
ისტორია

ტარს ფეხსაცმელებით, რომელთა გამო ეს ჯუჯები ცეცხლში არ იწვოდენ და წყალში არ სველდებოდენ. შელიებს და სხვა მსეცებს ტვიდან გამოაკვებდენ და შეთევსეებს საზრდოს სამებნელათ შორს აღარ უხდებოდნათ ვასედა.

შეთევსეები გაკვირვებული იყვნენ თუ საიდან ჩნდებოდა ამოდენა ნადირი. ფარდულებში სითბო დატრიალდა. ახმაურდა, გამხიარულდა მათი ბინა. ჯუჯები ერთმანეთს ეტიტინებოდენ, შეთევსეებს კი ეკონათ რომ მოისმის ჭრიჭინების სმა.

ღამე როდესაც ეველას ეძინა ჯუჯები გამოდიოდნენ გარეთ და აღტაცებით შესცქეროდნენ ჩრდილოეთის შუქს, რომელიც ცაზე შუშუნასავით ანათებდა.

როგორ იხეირნეს ჯუჯებმა ვეშაპზე.

კაიარს ექვსმა თვემ. დიდი ღამეები შეიცვალა გრძელ დღეებათ. ეს დღეებიც არ იყო, უფრო რაღაც ბურუსიანი რიჟრაჟი იყო, ერთი ჯუჯა სახელათ „ჩუმი მისანი“, რომელმაც წინა გრძობით ეველაფერი იცოდა, ეველას არწმუნებდა, რომ წინა ღამეს მან ნახა ზღვის ზირას როგორ გამოჩნდა ნათელი სხივი და ისევე ძალე გაქრა. მართლაც რამდენიმე დღის შემდეგ ცა განათდა, გადიწმინდა და შუის შუქი გამოჩნდა. ჩრდილოეთის მიძინებულმა ბუნებამ ცოტაცოტა გაიღვიძა, გამოცოცხლდა. ისმოდა გრიადი, ბრახუნი, იმსხვრეოდა ეინულები. მსემ გამოანათა. ნისლი ავიდა სულ ძაღლა, ძაღლა, ჩრდილოეთის მხარეს გასაფხული გაჩაღდა.



ქართული
საქართველო

ოკეანეს დაცურავდნენ ეინულის ძეები და ხანდენ მწოლარე ზღვის ლომები და ზღვის ძაღლები. ვუძანეს მონადირენი სისარულით ფესსე აღარ იდგენ და სამკ საზროთ ემსადებოდნენ. იმედს არ ჰქარგავდნენ, რომ სასლში დაბრუნდებოდნენ. მახლობლებს მათი ნახვის იმედი უსათუოდ აღარ ექნებოდათ.

ჯუჯებიც მთელ დღეს ოკეანეს ნახირას ატარებდნენ.

— ძამიებო, უცნაური სმით დაიუვირა ერთსელ .,ჩუძმა-მისანმა“, — ერთი მოდით აქეთ, რა გიჟენოთ ძავი მთა შადრევანით დაძრულა!.

ჯუჯები გაიქცენ და ერთ წამს შედგენ.

ოკეანესე მოცურავდა უსარ-მასარი ჩრდილოეთის ვუძანი. მის ნესტოებიდან შადრევანით გადმოდიოდა წუბალი.

— უჰ! რა უშუყლებელი სომალდია! დაიუვირა მურსილკამ, — მოდი გავისეირნოთ, ძამიებო, ზოგს თქვენ განს სომ არც უნახავს სომალდი.

— ოჰ! ეს რა კარგი აზრი მოგივიდა თავში; სმა მისცეს ამხანაგებმა და ერთი თვალის დახამხამებასე ვუვლანი გაექანენ თავიანთი უჩინარი ფესსაცემლებით, რომელნიც წუბალში არ სჟეღდებიან და ცეცხლში არ იწვიან.

უუძანმა ვერ შეამჩნია ჰატარა ქონდრის კაცები და ისევე გაწოლილი იყო.

უუძანის განიერი ბუჭები ამ ცქრიალა არა მკითხე სტუმრებისთვის ფართო მოედანს წარმოადგენდა. ამათ ვიწროვით და წრივით დაიწვეს სტომა. მურსილ-

კამ არ იქმნა რომ ვეშანის თაგსე ცეკვამდა, მან ცნო
 ველს ნესტოებში, საიდანაც წვალი შადრევანივით გა-
 დმოდიოდა, ჯონი შეუსხიკინა. ვეშანი—დევი შეინძრა,
 ეტობოდან დაუნატეკებელი სტუმრები იგრძნო. წამს
 წელის ნაკადულმა ააფრინა მურხილკას ქუდი და გა-
 დისროლა ოკეანეში.



— ვაი, ჩემო ქუდო, ჩემო ქუდო! დაიფირა მურ-
 ხილკამ.

ჯუჯებს იმისი არა სცხელოდათ რა. გააფორე-
 ბული ვეშანი კუდს არტეამდა წვალსე და უშანუნებდა
 შედ ამ ზატარა კაცებს. მალალი ზვირთები ადიოდ-
 ჩამოდიოდა და ლამობდა ჯუჯების გადაელაპას, ვე-
 შანის ნესტოებიდან წელის სუეტები ზევით სცემდენ.



მისი ძიძე, ტლანქი სხეული ისე ისროდა თებს, რომ საბრალოდებს ეგონათ ეს ეს არის სადმე უფსკრულში ჩაჯარდებითო. რა საძინელებია! ვუძანძა უცრათ წეაღში ჩაიუფრუქმელავა. მაგრამ ჯუჯებმა ბედსე მარჯვით ხელი მოჭკიდეს დამტვრეულ ხომალდის ფიცრებს, თორემ არც ერთი მათგანი არ გადარჩებოდა.

— მიშეუღეთ! მიშეუღეთ! უვიროდა მურსილკა. იმას ამ ალიაქოთში დაეჭირა თავისი ქუდი, რომელიც მთლად სველი იყო, წუნწკლები ჩამოსდიოდა—ჟურსედავთ, რა დაეძარათა ჩემს ქუდს? როგორღა დავისურო...

— ხმა ჩაიწვიტე, დაუვირო ჩინელმა, — სომ სედავ რომ სხვები უკეთეს მდგომარეობაში არ არიან. მაგრამ ხმას არ იღებენ. შენი ქუდის მეტი დარდი არავის აქვს!

მურსილკამ დაიწყო ბუტბუტი, მერე მოჭევა ცხვირსასოცით ქუდის კაწმენდას.

ჯუჯები დიდ განსაცდელში ჩაცვივდენ. ხეები რომელსედაც ისხდენ დიდი სისწრაფით მიცურავდენ, წამდა უწუმ წააწვდებოდენ უინელის თომებს, ზაწიები მიძით ერთმანეთს თვალს ადევნებდენ, სომ არავინ დაკველუნაო.

ასე მიცურავდენ ესენი ოკეანსე მთელი დღეებით, კვირლობით—ცისა და ოკეანის შუა. ბოლოს ერთ დილით შეამჩნიეს მათ რომ ვიწრო სრუტეში არიან.

— გაიხარეთ, გაიხარეთ! დაივირო ჩინელმა-ჩიკა-ჩი, — ეს ადგილები ვიცანი, თუ ხამსრეთისაკენ გავწიეთ, ჩემ სამძობლოში მივალთ!

მაგრამ კარგა ხანმა გაიარა, ბევრი ვაი ვაგლასი გადახდა ჯუჯებს ხანამ ესენი სანატრელ ადგილას მიასწევდენ.

(შემდეგი იქნება).



კახეთში.



იღ შაბათს ქუ და ჩემს ბიძაშვილებს გადა-
 წვეტილი გქონდა შიგნით კახეთს, სოფ.
 კარდენახში გამგზავრება. კათენდა შაბა-
 თიც. აღმოსავლეთი წითლად შეღებულიყო. ჩიტები
 ქიუქიუქობდენ, სიდან ხესეღ სტოდენ, განთიადს ეგე-
 ბებოდენ. ველსეღ ვეაჟილებსაც თაჟები მალლა აელოთ და
 თაჟის კანტურით უძღენიდენ ერთმანეთს სალამს. შთელი
 ბუნება შესაროდა განთიადს. ჩვენც სახეაროთ, გავემსა-
 დეთ და სადგურისაკენ გაჟსწიეთ. ეველა სუღდგმული
 სიაშით ავსილიყო, სასესეღ დიმი უკრთოდა. ჩვენც
 შევსაროდით დიად ბუნების შეენებას და დილის მაგრი-
 ლობელს სიოს სარბათ ვსუნთქავდით.

მატარებელი დიამრა და კახეთისაკენ გაგვაქროლა.

*) ყვარელის მთები.



ქართული
ენების

რაც უფრო ვუხსლოვდებოდით კახეთს, მით უფრო მშვენიერი სანახაობა იძლებოდა ჩვენს თვალწინ. ვენახებში მუშაობა გაჩნდებინათ, მუშური სიძღვრის გუგუნის ანუ ძარეს ავსებდა. მიუხსლოვდით სოფელს. დაუინახეთ ალაზნის თავის დაბურული მიდამოებით, ტვით შემოსილ ნაპირებით. მსე დასავლეთისკენ დაბლა-დაბლა იწვევებოდა, უკანასკნელს მკრთალ სსივეებს სტუორცნიდა ალაზნის სარკეს. მსე ჩავსვენა და ან-ანარევი დაიჭირა ბადრმა მთვარემ, რომელიც ხან ერთი დრუბლის ნაკლეჯში შეცურდებოდა, ხან მეორეში. ცაზედ ვარსკვლავები ციმციმებდენ ზეიმი იყო ბუნებისა. თითქოს ადამიანთან ერთად ბუნებაც საადგომო ზარის რეკას ელოდებოდა. ზარების რეკა მოუსშირეს. სალხი ფაცა-ფუცით მიეშურებოდა, ქრიაშული იდგა ვეჟელან. ეკლესიის გარშემო. ლიტონიას უვლიდენ ანთებულის კელანტრებით. ციმციმა ვარსკვლავები ეკლესიის კალა-ვანში დაჭქათქათებდენ. თენდება აღდგომის დღე, სალხი ხარობს, კისკისებს, უკრთის სსხე. დიდი თუ ჰატარა, ქალი თუ კაცი სადღესასწაულოთ გამოწობილა. ერთ-მანეთს ულოცავუნ ბედნიერ დღეს. წითელი კვერცხების ჩახახუნი განისმის, ეოველ დდიური შური და განსე-თქილება თითქოს გამქრალა ქვეყნათ, თითქოს ძართლაც გამეფებულა სიეჟარული და ადამიანობა.

ჩვენც ერთმანეთს ვულოცავდით: „ქრისტე აღსდგა! — ჭემძარიტად“. ეკლესიაში მხოლოდ ესღა ისმოდა.

გათენდა. მსემ ამოაშუქა ოქროს ფერი სსივეები და მიულოცა ქრისტეს აღდგომა განარებულს ქვეყანას.

ქართული
საქართველო

აღასნის ველს გადავუურებდით, მისი მიძღვრულ
ლიულივი, მისი ატეხილი ჭალები, მისი მწვანეთ
ნაქარგი კიდეები ანდამატებით გვიხიდავდა. მე და
ჩემმა ბიძაშვილმა გადავწვიტეთ აღასნისვედ წავსული-
ვა ვით როდისმე ურმით. ერთს მშვენიერ დღეს მოვიძ-
სადეთ საუსმე და გავსწიეო აღასნისაკენ. უდიდესი
ბუნდურებით აივსო ჩემი გრძნობა, გამოუთქმელი
სინარულით მიძგერდა გული რაც უფრო ვუახლოვდე-
ბოდი აღასნს. აი აღასნის ნაპირებიც! ჩვენები ერთ-
გულად მოედნენ არემარეს; სოკი თეფსებს იტყვრდა,
სოკი ნადრობდა და სოკი კი დარბოდა და მინდ-
ვრის ვაზუილებს კრეუდა. მე და ჩემი დობილ ქალები
აღასნის ნაპირზედ ვისსედით და დიდხანს ვუცქერო-
დით მის ღიჟღივს. მისმა სილამაშემ წარმოიტაცა გუ-
ლის-ეური, თვალს ვერ ვაშორებდი და მაშინ გამოუთქვი:

დიდის ნაგა გეთამაშებს,
ნახად გიქოჩრავს ტადღებს.
შენი დანახვით ბუნებაჲ,
ვაქარვებ ჩემსა დარღებს.

ოჲ! აღასნო, რა გშვენის
სელა ექსების ზირადა
სეგდა და დარდი გულს მიკლავს,
რომ ვერა გნახო სშირადა.

მოახლოვდა წამოსვლის დროც. აუღეკი, მაგრამ
გული მიკუნესოდა, რომ აღასნის მშვენიერებას ვაშორ-



დებოდი. ჩავსხედით ურეძში და გამოვწიეთ სწავლისკენ.
უკანასკნელათ გადავსვდეთ ალანანის მშენებელ სანახა-
ობას და დავძახე:

მივდივარ, მაგრამ ჩემი გული კი
შენს მშენებლობას არ დაიფიცებს,
გმორდები, მაგრამ ჩემი სული კი
შენს ნახვისა ნაცერას დაიფიცებს.

6. მკედლიშვილი.



სოფელი ავარელი.



კუკურის ქვირო.



კუკური სად არის? რა იქნა, რა ვქნა?

მთელი სახლი აფორიაქდა. მაკინემ გოგო-ბიჭს მთელი კარ-მიდამო შემოარბენინა, მაგრამ კუკური ვერ იზოფნეს.

— სამაგელი, ნახე თუ კიდევ სათეფსაოდ არ გაგეზნა!

— სთქვა მაკინემ და მოსულს სტუძარს, კუკურის ნათლიას, შესტირა თავისი უბედობა:

— აგრეთი დაუქენებელი შევს, გენაცვალეთ, აგრეთი კერძი და გაუტყესელი! აბა როგორ უნდა ისწავლოს! მამამ რამდენჯერ დააწეებინა ანა-ბანა, მაგრამ მანც არაიქნარა. საცაა შეიდი წლისა შესრულდება და მერვეში გადადგება. როგორ შეიძლება მაკინის ასეთი თავაშუება. მაგრამ რას დაგიდეუს, რას დაგიჯერებს. მაგას ბიჭებთან ჩსუბი და თამაშობა მთელ ქვეყანას ურჩევნია.

ნათლია სწულიადაც არა ჯავრობდა რომ ნათლული ცელქი ჰყოლია. ზირიქით, გაიხარა კიდევ:

— ნათლიდედ, აგრე უნდა, მამა, ბავში სიცოცხლე უნდა იყოს...



სწორედ ამდროს კუკურმაც შემოიბინა კალათა ცოცხალი თევსები შემოიტანა, სინარულით ვერცხვი შეჭნიშნა, რომ იქ მისი ნათლია იყო და აღტაცებით დაიძახა:

— შეხედე, დედილო, შეხედე, რამდენი ციმორები დაფიჭირე... ლადიანთ გიოს ტოტი დაწვევითა და...

მაგრამ აქ უკვე ნათლია შენიშნა, კალათა ხელიდან გაუშვა, თევსებმა იატაკზე ცეკვა დაიწვეს. კუკური კი გაქანდა და უელზე შემოექნა:

— ნათლი, ჩემი ქვირო არ მომიყვანე?

— როგორ არა, ნათლიამ ზირნათლად იცის დანაზირების ასრულება, აბა კახედე!

ყანჯრიდან კარზე გაახედა და დედაცხენთან დაანახვა ნიშა და ეორანსავით შავი კვიცი.

— დილილმეს, შესძახა აღტაცებით კუკურიმ: მიუურეთ, როგორ გავასუქო!...

უძალ კარში გაიჭრა, კვიცს მიესიუვარულა:

— ქვირო, გენაცვალე, წისლი არა მერა, აი!... ისეთ ბაღახებზე გაძოვო, რომ...

უნდოდა ხელი მოეკიდა, მაგრამ კვიცი განსე გაუსსლტა და საუვედურით შესჭინვინა:

— რას მერნი, თავი გამანებეო!

სოლო როცა კუკურიმ არ მოუსვენა და ყაფარში ხელ წაუღებულს გავასე მეორე ხელი გადაუსვა, კვიცმა იტლინკა და ხელიდან დაუსსლტა. კუკურის მართალია, წისლი არ მოჭსეგდრია, მაგრამ მანც შეჭლრიალა.

— ვაიძე დედაჟ!...



ქვემოთაჲნი
გადასწავლა

და ბავში ბაკის იქით გადასტა. ნათლია გამოიჭრა.

რომ დაინახა, კუკუროს შეეშინდა, სიცილით შენიშნა:

— აი შე მხდალო შენა! მაგას მაუკედრიდი, ჩემი ქვირო რაუეაუიო? მაგეთ რანდებს ამისთანა მამაც ქვიროს არ მიუცემ სახუქრათ!..

მაგრამ ნათლიას არ დაუსჯია კუკური: მეორე დღეს რომ შინ დაბრუნდა, კვიცი ბავში გამოძვედუული დასტოვა.

აბა შენიცი, როგორც მოუვლი... გამოხარდე და მოინძარე... შერძის შეკიძლიან უნაგირი შეადგა და აჭენავო კიდევ...

როცა სოფელს მიუფარა კუკუროს ნათლია, კვიცმა საცოდავი ჭისვინი დაიწყო, დედას უძახოდა საშველათ, მაგრამ შორიდან დედის გულსაკლავი მასხუსი, უძწყო ხვისვინი, რომ შეესმა, ბავში უთავბოლო სირბილი დაიწყო და იმდენად გასწერა, რომ კუკუროს მიერ მოტანილი ერთი კარგი ზურგი ბალახი ფეხქვეშ მოსთელა და ჭამით კი კბილიც არ დაუკარებია:

— შე დედა შინდა, დედა... არშინდა თქვენი ბალახი, არა!..

უვიროდა ქვირო, მაგრამ ვინ რას გაუკონებდა...

* *
*

ქვირო ნელ ნელა შეეჩვია ტუსადობას, ბოლოს კუკუროს შეურიგდა და ძალიანი ხალისით მისდევდა სამოჯარსე. ერთი თვე არცკი გასულიყო, რომ კიტრი-



საჭით გასუქდა. ბოლოს სომ ისე დაუძეკობრდა, რომ უთოკოთ ერთად მიდიოდენ და მოდიოდენ. მომხდარა ისე, რომ კუკურები ბუნქებში ჩიტებს გამოსდგომია, ქვიროსაც დაუჭინვინია და უკან გამოსდევნებია და ჩიტები დაუფრთხვია მისთვის.

— ეი, ქვირო, აგრე არ ივარკებს, გენაცვებ, როცა მე ვჩიტობ, ან ვმწვევრობ, შენ შენთვის იუავი და სმოკუე... ხელს ნუ მიშლი...

ქვირო თავს დაიქნევდა და ხვინვინით დასცინოდა:

— რათა, ძამია, თუ მეკობრობაა, უკელგან მეკობრები ვიყოთ...

ასეთ შემთხვევაში სძირად გამწურალა კუკური და ქვიროსთვის თოკი მოუბამს და ბუნქის ბოლოსე დაუკრავს მაგრათ:

— აბა ახლაც დამიძაღე თუ ბიჭი ხარ!

ქვიროს ძლიერ სწეინდა ასეთი ჯიუტობა, მაგრამ რას იზამდა: ძალა აღმართის მსუნელიაო, ნათქვამია და ქვიროც ბედს დაემორჩილა...

*

* *

ბედის დამორჩილება მაშინ უნდა გენახათ, როდესაც ძალსაზმა, კუკურის ძამამ, ერთ მძვენიერ საღამოს კვიცს თვალი შეავლო და უღვაშებში დიძლით ჩაიღაპარაკა:

— შენგდეთ, კუკურის ქვირო ისე მომწიფებულა, რომ დროა გახსენდოთ კიდევც...

სოქვა და საცდელათ აჰმარა გაუკეთა, მარცხენა ხელით დაიმოკლა, სოლო მარჯვენათი ჯერ ხელი

თამაშით, შემდეგ მაგარი სელვით სურგზე სელიტაზე გამოუსვა. ქვიროს არ ესიაძოვნა, კანიკლან-გამოიკლანა, შეიფრუტუნა, კასტა-გამოსტა კიდევ, მაგრამ ესლა ავძარა ძრიელ მკლავს ეჭირა და ამიტომაც ვერბს განდა. კუკური სულ სინარულით ცმუკავდა, უნაროდა, რომ ძაღვ მისი ქვირო სურგს ისწავლიდა და სძოფრათ მოაჯდებოდა და ისე აჭენებდა.

— დაიცა, შენც გისარინა, განა, ჩემი უბედურება? — სთქვა თაფისთვის ნაღვლიანათ გულში ქვირომ: ეგ არ მგონა... არ არის კარგი, თორემ იქნებ დმერთმა მომხსწროს ისეთს დღეს, რომ შენც ჩემსავით დაიკლავნო.


ქვიროს ასეთს ჩივილს ოდნავაც უური არ ათსოვა კუკურიმ: კუჭკუჭებდა და კუჭკუჭებდა, თითქოს ეუბნებოდა: სსვათა ჭირი—ღობეს ჩვირო.

დ. კასრაძე.

(დასასრული იქნება).



სვლიკი



ვლიკები ცხოვრობენ სუ-
 ველიკან გარდა იმ ქვეყნ-
 ბისა, სადაც არაოდეს თოვ-
 ლი არ დნება და მუდამ ეინ-
 ვაა. სვლიკებს ნახავთ ჩვენ-

ძიაც, რევი, ბუჩქნარში, სასაღებოს ნანგრევებში და სხვა-
 გან. ცხელ ქვეყნის სვლიკები გაცილებით უფრო დიდები
 არიან. სოკიერთ ახლის შიგნით ცხოვრობენ ერთი ადლის
 სიკის სვლიკი. სვლიკები უდაბნოშიც კი ცხოვრობენ,
 იქ სადაც ვერ სძლებს ვერცხვითარი სულიერი. ინდო-
 ეთში და აფრიკაში მოიპოვება უდიდესი სვლიკი, რომ-
 ლისაც ადგილობრივი მცხოვრებლებს კველზე მეტად
 ეძინათ. ის სძირად ერთი საყენის სიგრძეს ახწევს.
 ძალიან უფარს კველქაშის კვერცხები და ამიტომ
 კველქაში მას ძალიან ეტყობა. ამბობენ, როდესაც
 სვლიკი დაინახავს კველქაშს, ის დაუსტვენს და ამით
 ატეობინებს ამხანაგებს მტერის მოახლოვებას. ამიტომ
 ამ სვლიკს „მონიტორ“-ს ეძახიან, რაც ნიშნავს დამრიგე-
 ბელი. თუ „მონიტორი“ კველქაშის კვერცხებს ანა-
 დგურებს, სხვა სვლიკი სინსილას უწევებს ჭიადუის,
 მწერებს, რომელნიც ჩვენ ბალებს აოხრებენ. სვლიკს
 უფარს მზისგან გამობარ ქვასე დასვენება, ის სდებს

კვერცხს ქვიშაში მზიან ადგილას და მზის სითბოთაგან დაიხურა და
ნიკავს მათ; რის შემდეგ სვლიკი თავს არ იწუხებს
შვილებზე ფიქროთ.

* *

*

სვლიკი ძალიან მიეგუანება გველს ტანის აკუ-
ბულობით. არიან სოკიერთი სვლიკები, რომელთაც
გველის მაგვარი გრძელი და წვრილი ტანი აქვთ და
ზაწაწა ფეხები. ერთ მათგანს სრულებით არა აქვს ფეხები,
ინგლისელები ამ სვლიკს „შუშის გველს ეძახიან“,
იმიტომ რომ მისი კუდი შუშასავით ადვილათ ტეფე-
ბა. სძირათ ეს სვლიკი იმით უშველის თავს, რომ დას-
ტოვებს კუდს ადამიანის ხელში და გაუსხლტება. შემ-
დეგ ამ კუდის მაგიერ ახალი კუდი გაეზრდება. ეს სვლი-
კი ლოკოკინებით იკვებება. სამთარში კი 10—12
„შუშის გველი“ შეივრებიან სოროში და იქ სძინავთ
მთელი სამთარი.

* *

*

არის კიდევ ერთ გვარი სვლიკი, რომელიც შეი-
აბნეულია დიდი ეკლებით. ამ სვლიკს ფრიზომა ქვი-



ან. მისი სამშობლო ჩრდი-
ლოეთი ამერიკაა. ამას კი-
დეგ რქიან გომბეშოს ეძა-
ხიან, რადგან თავზე ორი
რქა აქვს, სურგზე, ხერხე-
ძალზე ჩაუოლებული და გვერდებზე კიდევ მრავალი
წვეტიანი რქები ასხია. როდესაც ფრიზომას ეცემა
მტერი, ის თვალის დასამსამებაზე მიწაში ჩაეფლება,



გამტყრებულ ადამიანს, თუ სხვა ცხოველს, რომელიც
რო მიწა გასკდა და ფრისომა ჩაულანაო. ბევრი რო
ეწვალათ, მაშინ ფრისომას სელში ვერ ჩაიკლებთ იმი-
ტომ, რომ მისი ეკლები მწარეთ ინსულიტება.

* *
*

ხელიკი ქამელეონის თვისება ის არის, რომ მუ-
დამ ფერს იცვლის. ეს ძალიან სასტი ხელიკია. ის
დადოლავს სეებზე დრმაღ ჩაფიქრებულივით და სანამ
ერთს გადააბიჯებდეს კარგა სანი გაიყლის. მისი ბუნე-
ბრივი ფერი შავლეგა, მაგრამ სედაკანის ქვეშ ორი
სხვა და სხვა ფენა აქვს—ერთი ვეითელი და მეორე
მუხის ფერი. ქამელეონი ხან სოლებიანია, ხან ვეი-
თელ წინწკლებიანი, შემდეგ ის წაბლის ფერს მიი-
ღებს და ბოლოს ღია მწვანისას. როდესაც ქამე-
ლეონს ფერის გამოცვლა უნდა ის შეისუნთქავს ჰაე-
რს, კაბერება და შემდეგ იცვლის ფერს. იცით რათ
ესაჭიროება ქამელეონს ასეთი ფერის გამოცვლა? რო-



დესაც სეებზე დამერება, ვმინია არ დაინახოს კველმა,
ან სხვა მისმა მტერმა, ამიტომ ხან მწვანე ფოთლის
ფერს მიიღებს, ხან აჭრელებულს, ხან ქერქის ფერს და სხე.

ქამელეონის თვალები, დიდი და წამოკუსულობა, მუ-
დამ წაფარული არიან ქუთუთოებით ისე, რომ თვალი
მშივის ოდენათ მოსჩანს. მაგიერათ იმას შეუძლიან
თვალი უოჯელ მხრივ დაატრიანლოს, მეტიც კიდევ,
როდესაც ერთი თვალი ძირს იუწრება, მეორე სევით
ათვალიერებს არე მარეს, ერთი თვალი რომ წინ იუ-
წრება, მეორე თითქმის გადაბრუნდება უკან.

რამდენათ ქამელეონი ნელი და სანტია, იმდენათ
მისი ენა სწრაფი და მოძრავია. თუ სიანლოვეს ბუ-
სი გამოხნდა ქამელეონი გამოაგდებს კრძელ ენას,
რომლის ბოლო ჯამივით არის ჩაღრმავებული, შიკ
წებოიანი ლორწოა, ბუსი ჩავარდება ჯამში, მიეკვრის
მას, სვლიკი სწრაფად გადაელანავს. თუ ბუსი არსად
არე ქამელეონი არ მესწრება. მას შეუძლია თვეო-
ბით არაფერი სჭამოს. უწინ ეგონათ რო ქამელეონი
ჭაერთი იკვებებო.

ელენე.





ტახუნჯელა.

(ზღაპარი).



ყო და არა იყო რა, იუ-
ვნენ ერთი ცოლქმარ-
ნი, შვილი არა ჰქვავდათ
და ღმერთს ეხუფებო-
დნენ, ღმერთო, ერთი
შვილის დირსი გაგუ-
ხადეო. ისმინა ღმერ-
თმა იმათი ღოცვა-გუ-
ღრება და მისცა შვილი.

როცა დაბადების დრო მოახლოვდა. შვილმა მუცლი-
დან მაძას დაუძახა: „მაძი, წადი, ხელმწიფის ქალი
ძითხოვე ცოლათო. გაუკვირდა მაძას და უთხრა: შვი-
ლო, ჯერ არ დაბადებულხარ და ქალს ვინ მოკცემსო.
შენ რა გინდა, წადი იქ ქვასედ დაჯექ, ხელმწიფის
ესოს კარებთან რომ შეესო, დაგინახავს ხელმწიფე
და გკითხავს: კაცი, აქ რას აკეთებო. შენ უთხარი:
ხეძი შვილი უძეგროს ქალსა გთხოვსქო. და მერე
ის რასაც გეტვის, წამოდი და ძითხარი. მერე მე
ვიციო.

ადგა მეორე დღით ეს კაცი და წაუიდა ხელმ-
წიფის კარს და დაჯდა იმ დიდ ქვასედ. გამოვიდა
ხელმწიფე და ჰკითხა, რა გინდა კაცი? „თქვენნი ჭი-
რძე, ხელმწიფე! ხეძი ვაჟი ქალსა გთხოვსო. „კა-



რეო. წადი, უთხარი შენს შვილს, რომ ჩემი სას-
ლის კარდან თქვენი სასლის კარებამდის იმისთანა
ხესილი უნდა იყოს გაშენებული აქეთ-იქით გზასედ,
რომ რიგი უვაჟოდეს, რიგი იწეოდეს, რიგი მწიფე
ესხასთქო და მაშინ მივცემ ჩემ ქალსაო. სამი დღის
ვადა მისცა სელმწიფემ.

წამოვიდა კაცი. დაღონებული მივიდა სასლში.
კეთიხება შვილი, რა კითხრა სელმწიფემაო. უამ-
ბო, რაც უთხრა სელმწიფემ. „კარგი მაძი, შენ ნუ
დაღონდები მაგისტოვისო, დაწექ, დაიძინე, დილაზე
რომ ადგე, ასსენე ღმერთი, მოკრიფე ჩხიმლები, ააჟ-
სე სურჯინი, აიკიდე, დაიწეე ჩვენი სასლდან და
თითო ნატყნი ჩხირისა აქეთ იქით დაუარე გზის ნა-
პირებზე, მინამ სელმწიფის კარს არ მისვალ, უკან
ნუ მოიხედაძო. მერე მოიხედე და დაინახამ რა ხე-
ხილი იქნებაო.“

დაწვა კაცი, დაიძინა, გათენდა დილა, ასსენა
ღმერთი, მოკრიფა ჩხიმლები, ააჟსო სურჯინი და
დაიწეო თავის კარებიდან აქეთ-იქით ფანტვან, მივიდა
სელმწიფის კართან, გამოხედა და იმისთანა მშვენე-
რება იყო, რომ კაცი გაკვირდებოდა: რიგი უვაჟოდა,
რიგი იწეოდა, რიგი მწიფე იყო. და დაჯდა ქვასედ
კაცი. გამოვიდა სელმწიფე: აბა, შესწრულეო!

— აი გაიხედეთ, რა ამბავიაო“. გაუკვირდა სელ-
მწიფეს საიდან და როგორაო. უბრძანა კიდევ სელ-
მწიფემ: უნდა დაგვაბლოყო, ამ ხესილებში შავა და
შივ ვარსკლავები უნდა თამაშობდნენ და ხეებს შუა



ქართული
ენის
მეცნიერება

მდრეკნები უნდა ამოდირდესო. დაღონდა ეს—ესე, ადგა და წამოვიდა. მივიდა შინ, ჭკითხა შვილმა რა კითხნაო, ასე მითხრაო: შივა და შივ, ხეებს შუა მდრეკნები უნდა ამოდირდესო და ვარსკლავები უნდა თამაშობდნენო. კარგი, მაძი, დაიძინე, დილაზე ადექ, მოკრიფე შუშის ნამტვრევები და წაიღე კოკით წვალდი, დაიწვე ხვენი კაროდან ხელმწიფის კარაპდისინ ისროლე შუშის ნატვრები მაღლა აქა იქა, თან წვალდი ასხი, როცა მისვიდე ხელმწიფის კარს—გაიხედე. მაძინ ნახავ რა იქნებაო.

დაწვა კაცი, დაიძინა მეორე დღეს ადგა, ხურჯინი აავსო შუშის ნატვრებით, აიკიდა, აიღო კოკით წვალდი და წავიდა. დაიწყო თავის სახლიდან შუშის ნატვრების სროლა, წვალსაც აქა იქ ხეებს შუა ასხამდა. მივიდა ხელმწიფის კართან, გამოიხედა და გაიკვირვა—რა მსვენირება არისო. მივიდა და დაჯდა იმავე ქვაზედ. გამოიხედა ხელმწიფემ და გაუკვირდა: ნეტა რა სიძე მეორეობაო. „ეს ეკვლა კარგი, ბრძანა ხელმწიფემ, მაგრამ უნდა ჩემი სასახლიდან მქნს სახლაპდისინ ხალები იეოს დაფენილიო“ ადგა ეს კაცი დაღონებული, წამოვიდა, მივიდა შინ. შვილმა ჭკითხა, რა ამბავია, მაძიო.—ჭე, შვილო, მიბრძანა, ამ კსაზედ ხალები უნდა იეოსო დაფენილი, რომ მეუემ გამოიაროსო, „ნუ გეძინიან, მაძი, ეგონ ადვილიაო, ესლა დაიძინე, დილაზედ მოკრიფე საცა ნაკლეჯი იეოს ტომრისა, ფარდაგისა და სხვა ძონქებო, ჩაეარე ხურჯინში და დაიწვე აქედან ფანტავ აქეთ იქით. მიდი და დაჯექ ქვაზე.

ქართული
საქართველო

მორე დღეს ადგა კაცი, მოკრიფა მონძებნი მრის და ფარდების ნაკლეჯები, ჩაუარა სურჯინძა და დაიწყო ფანტეა, მივიდა ქუამდის, გამოიხედა იქიდან. და ჩურა თვალმა ნუ ნახოს გსახე იმისთანა ხალი ეფინა, რომ კაცი თვალს ვერ გაუსწორებდა. გამობრძანდა ხელმწიფე და ბრძანა: ახლა კარგი, წადი, უთხარი შენს შვილს მოვიდეს, და დაიწეროს ჯვარიო. წამოვიდა კაცი შინ, უთხრა შვილს: ხელმწიფემ ბრძანა, მოვიდეს ჯვარი დაიწეროსო და შენ კი ჯერ არ დაბადებულხარ. „შენ წადი, ძამი, მიდი წითელ კლდესთან, დაიძახე: გამოდი წითელო კაცო, წითელი ცხენით, წითელის იარაღით, მერე მიდი შავ კლდესთან, დაიძახე—გამოდი შავო კაცო, შავის ცხენით, შავის ტანისამოსით, მიდი თეთრ კლდესთან, დაიძახე: თეთრო კლდეო, თეთრო კაცო, გამოდი თეთრი ცხენით, თეთრი ტანისამოსით და თეთრის იარაღით. მინამ შენ მოხვალ, მეც დაჰბადებო.

კაცი მივიდა წითელ კლდესთან, დაიძახა, გამოვიდეს წითელის ცხენებით წითელი კაცები, წითელის ტანსაცმელებით და იარაღით. აგრეთვე შავი კლდიდან თეთრი კლდიდან, აირივნენ ერთმანეთში. გაუძლვით კაცი და მიიუვანა შინ. მინამ კაცი მივიდოდა სახლში, მინამ დაბადებულიყო ტახუნჯელა. ხელმწიფე დიდი ამბით ემზადებოდა ქორწილისთვის. ხელმწიფეს ორი სხვა სიძე ჰქუანდა, სულ დიდკაცები.

შემოიხვეს მოსულმა კაცებმა ტახუნჯელა ცხენს და გასწიეს. მიდის მჯერი და მიაბნელებენ გსახს.



საქართველოს
საქართველოს

ერთმანეთსე უკეთესები იუვნენ ეს მადრები. უუუბებ
 ქალები და ამბობენ: ვიმ რა ვაკაკაცები არიან, ნეტა
 ჩვენი სიძე რომელიაო. ჩამოეგება ხელმწიფე. აბა,
 ჩემი სიძეო! ჩამოსვეს ცხენიდან ტახუნჯელჳ, შეეძინ-
 და ხელმწიფეს, რას ამბობთ, ღორს როგორ მივცე
 შვილიო, მაგრამ ქაღმა სთქვა: რა ვქნათ, ალბათ ჩე-
 მი იღბალი ეგა ეოფილაო. დასწერეს ჯვარი, გადი-
 ხადეს ქორწილი. დაღამდა, დაითხოვეს მადარი, წა-
 ვიდნენ ეველანი. ხელმწიფემ თავისი შვილი არ გაა-
 ტანა ტახუნჯელას იქ, და ამეოვა თავისთან. იმ და-
 მეს ოთანს მიუყენა კაცები,—თუ ვინიცობა გაიგო-
 ნოთ ჩემი შვილის შეწუხება, შეამტვრიეთ კარები, შე-
 დით და მოჭკაღით ტახუნჯელაო. ქალის დედა ავათ
 გახდა დარდით. იმ დამეს ტახუნჯელამ გადიძრო ღო-
 რის ტეავი და გამოვიდა მხეთ უნახავი ვაჟი. იმის-
 თანა ლხინი და მხრიარუღება ჰქონდათ ქალსა და
 ვაჟს, რომ მთელი ღამე არა სძინებიათ. გათენდა დი-
 ღა, ხელმწიფემ იკითხა ამბავი, მოახსენეს: იმისთანა
 მხიარულობა ჰქონდათო ქალსა და ვაჟსა, რომ მთე-
 ლი ღამე არა სძინებიათო. გაეხარდა ხელმწიფეს.
 მეორე დღით ტახუნჯელამ გადიცვა ისევ თავისი
 ტეავი, ქალი მხიარულათ იყო, დედა კი უფრო და
 უფრო ავათ ხდებოდა დარდით. ამან ერთხელ უთხრა
 თავის უფროსს სიძეებს: წადით, მიშოვეთ შვილის ნუ-
 კრი, იქნება მოვრჩეო. შეკახმეს რამები, შესდნენ და
 წავიდნენ, ტახუნჯელამ უთხრა თავის ცოლს—უთხარ
 მამა შენს ერთი ცხენი მეც მომიცესო. მივიდა ქალი,

უთხრა ძამას: ძამი, ერთი ცხენი ამასაც შეუკანძმონ,
 ესეც წავაო. შეილო, ეკ სად წავა, შელის ნუკრს რო-
 გორ დაიჭერსო. ძამიც შეუკანძმეს ცხენი, ძისცეს და
 წავიდნენ. უფროსი სიძეები უკვე ტყეში იყვნენ, რო-
 ცა ტახუნჯელამ დაუძახა წითელ კლდეს, გამოუყვანეს
 წითელი რაში, გადძრო ტყავი, ცხენს დააკეცა და
 კლდეს მიაბარა. თითონ შეჯდა რაშსე და გასწია სა-
 დაც თავისი ქვისლები ეკულებოდა. წვალობდნენ, ძა-
 გრამ ისინი საიდან დაიჭვრდნენ ნუკრს. ტახუნჯელა
 ჩამოსტა რაშიდან, დაუსტყინა, მოვიდნენ ირმები, ნუ-
 კრები, ესვეოდნენ გარშემო. მივიდნენ ეს ხელმწივის
 სიძეები და სთხოვეს ერთი ნუკრი დაგვიჭირეთ, ავა-
 თმოფონისთვის გვინდაო, მე მოგცემთ ნუკრსაო, თუ
 მარჯვენა ეურის ბიბილოს მომაჭრევინებთო. მოაჭ-
 რევიეს ეურის ბიბილოები, ჩაიდო უბეში, დაუჭირა
 ერთი ნუკრი და წამოვიდნენ ქვისლები გახარებულე-
 ბი. მოვიდნენ შინ, დაკლეს, მოამზადეს და აჭამეს
 სიდედრს. ტახუნჯელამ გაუძო რაში, შეჯდა თავის
 ცხენსე, ჩაიცო ტყავი და მოვიდა სადამოთი შინ.
 დაუწვეს დაცინვა ცოლის დებმა, ქვისლებმა. კითხა
 ხელმწიფემ, ეგეც თქვენთან იყოო: მაგისმა მხემ, ძა-
 გას ჩვენთან რა უნდოდაო. ეურები კი ახვეული ქე-
 ნდათ სიძეებს. მეორე დღეს უთხრა სიდედრმა: ირ-
 მის რძე ჰინდაო: წვალთ, მოგიტანთო. მეორე დღეს
 შესხდნენ რაშსე და მიდიან. ამ დროს ტახუნჯელამ
 უთხრა: მეც წვალთ. ძისცეს ერთი ჯაგლაგი ცხენი
 და წავიდნენ. ტახუნჯელა მივიდა თეთრ კლდესთან, დაუ-



ქართული
ენის ლექსიკონი

ძანს თუთრ რაძს, ვადიდრო ტვაგი, დაბაკცა თავის ცხენს, შეჯდა თუთრ რაძსე და გასწია თავის ქვის-
ლებინსაჲს, უუურებს იმათ წვალებას, ირემი იმათ
როგორ დაუდგებათ, რომ მოწველან. არიან ერთ და-
რდში, უუურებენ ამ ემაწვილს, ამბობენ, ნეტა ეს ვინ
არის, რომ ირმები ესე ეხვევიანო. ხან ერთს მოს-
წველის, ხან მეორეს, ბოლოს უთხრეს, ავათმეფის-
თვის გვინდაო და მოგვეიდუო.

კარგი მოგცემთ, მხოლოთ ჩემი რაძის ნაღით
უნდა დაგდალოთო. დასთანსმდენ, თითო ნაღის და-
დი დასხვა ორივეს და მისცა რბე. ტახუნჯელამ იცო-
და, რომ ისინი იმისი ქვისლები იუფნენ და იმათ ვი-
ვერ იცნენ. მოვიდნენ განარებული სახლში, მოუტა-
ნეს რბე. განა ამბობენ, რომ სხვაგან ვიეიდეთო,
ძალაძენ, ჩვენ მოვწველეთო. ტახუნჯელაც საღამოთი
მოვიდა. ამათ უუერო დაუწვეს სიცილი, დაცინვა.

აი დროს ერთმა სახელმწიფომ ომი გამოუცხადა
ამ ხელმწიფეს. ემხადებიან სიძეები, ჯარს აგროვე-
ბენ. ტახუნჯელამ უთხრა: მეც წამოვალო. მისცეს ერთი
ჯაგლაგი ცხენი. ქვისლები იუფნენ განცხარებულ ომ-
ში, როცა ტახუნჯელა ძავის რაძით მივარდა, სოცდა
მტერს, როგორც ქათამს. რასაც ხმლითა სოცამდა—
რაც არა და რაძის უყნით. გათავდა ომი. გაიმარჯვა
ჩვენმა ხელმწიფემ ტახუნჯელას. შემწეობით. როცა
სძალს ქარქაში აგებდა ამ დროს ხელი შეიჭრა. ხელ-
მწიფემ ამოიღო თავისი ცხვირსახოცი, შეუსვია ხელი
და ძადლობა გადაუხადა. დაბრუნდნენ მან გამარჯვე-

ბული, უაძობენ ცოლებს ესეთი და ესეთი კაცი იყო, მავს რაშხედ იჯდა, იმან ძალიან შრომა დადოვო. ტახუნჯელას ცოლს გაცინა, — გაიცინე, მენ ტახუნჯელას კი გვანდაო. ამ ქალმა იცოდა რომ ის იმის ქმარი იქნებოდა, მაგრამ ისე იყო დარბეული ქმრისაგან, რომ არ უნდა ეთქვა. სადამოთი მოვიდა ტახუნჯელა ძალიან დაღალული, მაშინვე შევიდნენ თავიანთ ოთახში და ამან უაძობა ეველაფერი ცოლს. დაწვა და დაიძინა. ღორის ტყავი გაინადა. მეორე დღეს დიდხანს ეძინა, დაღლილი რომ იყო. ქალი კი ადგა და გამოვიდა. მოსამსახურე გოგო შევიდა სასლის ასალაგებლათ, სედავს ლოგინში მშენიერი ემაწვილი წევს და სელი მუხუეული აქვს სელმწიფის ცხვირსასოციოთ. გამოვიდა გოგო და მოახსენა სელმწიფეს: ბატონო, იმისთანა მშენიერი ემაწვილი კაცი ეოვილა ტახუნჯელა, რომ მეტი არ იქონ და თქენი ცხვირსასოცი სელსედ აქვს დასუეულიო, სელმწიფემ მოიწადინა შესულა და კიდევ შევიდა, ნახა რომ ეს ის ემაწვილია, რომელმაც ოში გაამარჯუებინა, გაენარდა სელმწიფეს, დაიხოქა იმის ლოგინთან და სახამ გაიღვიძებდა, არ მოძორებია ტახუნჯელას საწოლს. დაინახა სელმწიფე, წამოვარდა, მოეხვია სელმწიფეს. გადაეხუენენ ერთმანეთს და დაუწევს კოცნა. უთხრა სელმწიფემ: შეილო, რათ დაგუსოცე ჯაგროთ, თუ კი აკეთი ივავი, რათ ძალაუდი მენ თავს. ჩააცო ტანისამოსი, მოსჭიდა სელი და გამოიყვანა სიდედროთან. გაინარა სიდედრომა, რომ სი-



ძეგბში ეველას ისა სჯობდა, ქვისლებს კი მოხსუდობ
 წელი, რომ დაინახეს. მაშინ ტახუნჯელამ მოახსენა
 ხელმწიფეს, ეს თქვენი სიძეები ჩემი ეძები არიან.
 „ამოიღო ეურის ბიბილოები,—ეს ნუგრძი მომცესო.
 აბა დადიც ნახეთ ჩემი რაშისაო. რაღას იტუოდენ.
 ხელმწიფემ სთხოვა, რომ ის ღორის ტვაჯი აღარ საე-
 ცო. ისეთ ადგილას შეინახე რომ ხელი არ მოხვდუ-
 სო. უთხრა ტახუნჯელამ ცოლს. თუ ეგ ტვაჯი ან
 დასწვით, ან დასჭერთ—მე მოჰკვდები, არავენ მე
 გაცდინოს. ქალმა ჩადო სკივრის ძირში და დაკეტა.

ერთხელ სამნივე სიძეები წაუიდნენ სანადიროთ.
 ბუვრი ნადირი დასოცეს, მერე დასხდნენ და ისადი-
 ლეს, ამ ნადირობის დროს დები აუტუდნენ ტახუნ-
 ჯელას ცოლს: მოიტა ეგ ტვაჯი დაუწოთო, აღარ
 ჩაიცოსო.—არაო, ესუწებოდა, დამხებეთ თავი, მო-
 კვდებაო.—„შენ მოუტუეებისარ, რა მოკლამსო.
 ამდენი უევეს—შეცდინეს. ამოიღო ტვაჯი და დაუ-
 დეს ცეცხლზე. რამდენიც ტვაჯი იბღუნებოდა, იმდენი
 ტახუნჯელაც იკრუნხებოდა და ამან უთხრა თავის
 ქვისლს: მიშველეთ, ვკვდებიო, ჩემ ტვაჯს სწვამენო,
 ჩქარა შეჯექი რაშხედ, წადი, რა წამს მიხვიდე, წაღ-
 ში ჩადეო, რომ გაიძალოს.

მოაჯდა ერთი ქვისლი რაშს და გამოატყენა შინის-
 კენ. მოვიდა, დაინახა, დაუწეო ჩხუბი, კაცი კვდებაო.
 ჩადეს წაღში და ხელ-ხელა გაიძაღა. ტახუნჯელაც
 ხელ-ხელა მორჩა. ტახუნჯელას ცოლმა კი დაიწეო
 ტირილი, შეცდინესო. როცა სულ გაიძაღა ტვაჯი,

ქართული
დასახელება

ტახუნჯელაც შორსა. შესხდენ სიძეები რაძეძსკად და
წამოვიდენ შინ. მოვიდენ, მოიტანეს ბლოძა ნადირი.

იმ ღამეს კაი დრო გაატარეს. მეორე დღეს კი
გამოეთხოვა ტახუნჯელა თავის ცოლით და წამოვი-
და თავის დედამის სახლში. სელმწიფემაც გამოის-
ტუმრა დიდი ქრთამით, მსითვით თავისი ქალი. დაი-
წეეს თავის საუზარელ დედ-მამასთან ტკბილათ ცხო-
ვრება. ტახუნჯელას აქ აღარაფრის შიში აღარა ქო-
ნდა. თავისი ტეჯი ისეთ ალაგას შეინახა, რომ ემ-
ძაკიც ვერ იპოვიდა.

ჩაწერილი ქეთო მირიანაშვილის მიერ ს. შილდაში.





საქართველოს
საბჭოთაო
საგარეო
საზღვაო
საზღვაო
საზღვაო

მთა და ბარი

(იგავ-არაკი).



რთხელ ბარმა მთას შესჩივლა:
„კაში რატომ აწვდილობარო,
თავს ამაყათ გადმოგვეყურებ,
თითქოს ჩვენი მეფე ხარო;

როცა მთები არსად იყო,
მეც ხომ შენი ძმა ვიყავო,
მაგრამ შემდეგ გაამაყდი,
მიგვატოვე, გაგვეყავო;

შენ მაგ მზეს და მთვარეს ეტრფი,
მე დამტოვე ქვევით ძირსო,
ზვავს, ნიაღვარს ჩემსკენ გზაენი,
მიტომ ვამბობ შენზე ძვირსო!!.

მთამ მიუგო: „უნდა გითხრა,
მწარეთ სცდები, მეგობარო,
ჩემს ტყეს ვფიცავ, საყვედურის
ღარსი არ ვარ შენგან, ბარო;

შურიანი რომ არ იყვე
კიცხვას კი არ დამიწყებო,
რა სამსახურს მთები გიწვევთ,
მიკვირს რატომ ივიწყებო;

მაგრამ ვხედავ, ვერ მიმხედარხარ,
ვერც ოდესმე მიხედებოი,
თუ მე თითონ არ მოგიტხრობ,
— რას ვაკეთებ, რას ვშვრებოი:

ზეცის ტრფობამ ამამაღლა,
მაღლაც იმან ამხვირთაო,
რომ მე შენი გუშაგობა
და ამავი მეტვირთაო;

აბა, მიოხარ, როცა სიცხე,
გადაგიწვავს მწვანე გულსო,
ვინ გიგზავნის, თუ არა—მე
გიქმაყ წყარო—ნაკადულსო;

გაოფლილ მკერდს გრილი სუნთქვით
ვინ გიშრობს, ვინ გიამებსო,
ვინ მოგასმენს ლურჯ ტყის შრიალს
და ფრთოსანთა წარმტაც ხმებსო;

ვინ გაშორებს მძლავრ ქარიშხალს
უფსკრულიდან ამომსკდარსო,
სთქვი, ვინ ჰკურნავს შრომის შეილებს
შენს გულ-მკერდზე ჯან მიმკვდარსო:

ვინ გიგზავნის ფრთა მალ ნიავს,
ზღაპრით სმენას ვინ გიჯკობსო,
ვინ გაუწყებს მზის ამოსვლას,
მთვარის შუქით ვინ გამკობსო:

ვინ გაუწყებს... მაგრამ კმარა,
ახლა, ვგონებ, მიხედებოი,
რო გუშავი, მოკეთე ვართ,
ბარო, შენი—ჩვენ მთებოი!!!

ი. სიხარულიძე.

ორი

თქვენც იმღერეთ!

12 სახვარი.



თოვლით შებარდილი იყო ყველაფერი.

თეთრად დაზორტილი ზეები ისეთი ლამაზები იყვნენ, ისეთი მორთულნი, რომ არც ერთი კეკლუცი, დიბა—ატლასით მოკაზმული პატარძალი მათ არ შეედრებოდა. ირგვლივ ისეთი სიჩუმე და ისეთი ნათელი იყო დამყარებული, რომ ადამიანი თითქოს უცხო და ზღაპრულ ქვეყანაში გრძნობდა თავს. არც ბელურების ჭყვილი, არც სახურავზედ მათი ფეხების ფხაკუნი, არც ეტლის ხმა არსაიდან არ ისმოდა. მხოლოდ თოვლი ხშირად ბარდნიდა, და ფიფქთა დაუწყნარებელი მოძრაობა თვალებს სჭრიდა ადამიანს, მხოლოდ ზეცისკენ რომ აგეხედათ, ისე გეჩვენებოდათ, თით-

ქოს მალლა-მალლა, დაუსრულებელ სიგრცეში, მრავალ მხრივ მოძრავ ფიფქთა შორის ისე მსუბუქად და ისე სწრაფად თქვენვე მიჰქროდით. გარედ გამოველ, იმ წამს ქუჩაში არავინ სჩანდა, მივიხედ-მოვიხედე და თოვლში ჩაფლული არე-მარე რომ დავინახე, ჩემი საყვარელი სოფელი მომაგონდა. სოფელი ყოველ დროს ისეთი უცხო და უცნაურია.

გაზაფხულის ჟამს ახლად მოფრენილ ფრინველსავით მხატვრობა რულად ამღერებული, ზაფხულში მძიმედ ახვენეშებული, შემოდგომაზე შეზარხოშებულ-შეყაყანებული, მხოლოდ ზამთარში კი სულ განაბული, ქანც მიწყვეტილი და მისვენებული. მისი სიკაცხლის ნიშნად თეთრად შესუდრულ შენობებიდან კვამლი ოდნავათ ზღაზვნით ამოდის, თითქოს ის იყოს იმის მაჩვენებელი, რამდენად სოფლის მცხოვრებთა გულის ცემა და მათი სიკაცხლე მოდუნებულ-მიყენებულია. იმ ჟამსაც სწორედ ჩემი სოფელი თვალწინ ნათლად დამეხატა. გულს რაღამაც მწარედ უკბინა, მაგრამ ქვემოთ თოვლით წამარგნილ ხეებს შორის რომ გავიარე—გულმა უცებ ისევ მძლავრათ შემომკრა და სიხარულთან ერთად გაოცებით მთლად ავენთე.

უცბათ შევჩერდი. გავინაბე, ყური დაუგდე დანათლად, აშკარად შოშიას ნისკარტის წკაპუნი, მისი მუზიკასავით უცნაური ჩაწიკწიკება და ჰანგები გავიგონე, მაგრამ ახლა ყურებს აღარ დაუჯერე და თვალების ცეცება დავიწყე და დახვთ ჩემს გაკვირვებას? შოშია, პაწია, შავი შოშია იანვრის დამდეგს ერთ სახლის სახურავის განაპირზე შემჯდარიყო და თოვლში ჩაფლული ისეთ გაგიჟებით უსტვენდა, გეგონებოდათ მაისის მზეს სჭერეტს და სურნელოვან ჰაერით დამთვრალს თავი დავიწყებისთვის მიუციაო.

თოვლი მის ახლო-მახლო მისი ფრთების ბარტყუნით მიყრილ-მოყრილიყო, მარამ რამდენჯერაც ფრთას გაიქნედა, იმდენჯერ კიდევ თოვლს ძირს ჰყრიდა და თან თვითონაც შიგ იფლებოდა.

გავოცდი, გამიკვირდა შოშიას უდროოთ ნახვა და ისიც ისე შეუბოვრად და თავდავიწყებით თოვლისა და უამინდობისა ჟამს მომღერალი.

ნეტავ იცოდეთ რანაირ მომინდა მისი დაქერა, პაწია ყვითელ ნისკარტის დაკოცნა, როგორ მომინდა მისი სულში ჩაძვრენა, მხოლოდ იმიტომ რომ ქვეყანა სიცივით იბუზებოდა, ყველას სული გაენაბა და ის კი შეუბოვარი, გაზაფხულის ტურფა მაყარი, ის რომელიც თეთრს და მძიმე სუდარას შორის შავ წერტილათ ძლივს-ღა მოსჩანდა, ისე თამამად მღეროდა, თითქოს სასტიკ ყინვის ღამეს სადმე სახურავ ქვეშ არ გაიყინებოდა.



ქვემოთაჲს
დასტავად

ნეტა იცოდეთ რა ძლიერ გამეხარდა და ამავე დღეს ჩემი
ჩემი თავი იმ შოშიათ წარმომიდგა. იცით, ბავშებო, მეც რომ
თორმეტ იანვრის შემდეგ, ესე იგი, იმ ჟამის შემდეგ, რაც სა-
ქართველოს თავის უფლება უცხო ქვეყნის დიდმა ბობოლოებმა
იცნეს ისე ძლიერ მიხარიან და ყოველ დღე ისე ვმლერი, რომ
ლამის ქვეყანა დავაყუო. თანაც ზოგჯერ, მთელი ქვეყნის
არევ-დარევა, იმ შოშიასი და იმ დიდი თოვლისა არ იყოს, თვალ
წინ ნათლად რომ დამეხატება, გული წამით შემეცვლება,
მაგრამ რა ვქნა რომ მე მაინც არ მეშინიან! რაც უნდა მოხდეს,
მე დღეს გული მიმღერის და მიხარიან, მიხარიან და ვმლერი.
თქვენც, ჩემო სოფლის პატარებო, იმღერეთ ჩემთან, იმღერეთ
მთელი თქვენი არსებით, იმიტომ რომ ეს თოვლიც მალე და-
დნება და ბუნებასთან ერთად ჩვენც აყვავდებით. ჩვენ-კი ამ
აყვავებას ისე უნდა მოუხდეთ, როგორც შოშიას მღერა ახლად
შემწვანებულ ველს, ლამაზ ტყეს და თქვენ საყვარელ ვარდ
ყვავილებს.

ცქვობი.



მიწისხმრევა და ვულკანები.



ვენს სამშობლოს, ნორჩ რესპუბლიკას, დიდი უბედურება დაატყდა. თებერვლის 20—21 დედა-მიწა ინძრა და ქართლის დედა ქალაქი გორი და მის ახლო მდებარე სოფლები სულ მთლად დაინგრა, დაიღუპა.

ნანგრევებში ბევრი ადამიანი ჩაიმაჩხა; მთელი ქონება და ცხოვრება, სარჩო-საბადებელი ნანგრევებ ქვეშ მოჰყვა. დარჩა ხალხი ამ სასტიკ ზამთარში უსახლკაროთ, მშიერი და ტიტველი.

ვახეთები ყოველ დღე ჰბეჭდენ დაწვრილებით იმ საშინელებას რაც მოხდა, მაგრამ განაკი აიწერება ის ჯოჯოხეთი, რასაც დღეს გორი და მისი ახლო სოფლები განიცდის! ჩვენი მთავრობა დიდის ენერგიით შეუდგა რათა შეუსუსტოს ხალხს უზომო გაჭირვება—მშივრები გააძლო, შემოსა და თავშესაფარი მისცა, თანაც ლაშობს აღადგინოს უფრო უკეთესი ქალაქი და სოფლები. მეორე დღესვე მთავრობის ყველა წევრმა დაათვალიერა დანგრეული გორი და ქირის უფლათ გაუხდა, მაგრამ მთავრობა მხოლოდ მაშინ გაიმარჯვებს თუ რომ მთელი საქართველო მხარს მისცემს. ამით დაამტკიცებს ქართველი ერი თავის მოქალაქეებრივ, კულტურულ მომწიფებას, სახელმწიფოებრივ უნარს და ნიქს. „რა გასჭირდეს მაშინ უნდა გონებანი გონიერსა“ ამბობს ქართული სიბრძნე.

*
 * *

ყველასა სსურს გაიგოს რა ძალა ანძრევს და ანგრევს დედა-მიწას? ეს ღეთის რისხვა მარტო ჩვენ გვეწვია თუ ბუნებრივი



მოვლენაა? ჩვენც გვინდა ამ კითხვებზე პასუხი მოზარდ თაობას და ამ წერილით გავაცნოთ რაც კი რამ ცოდნა დაგროვილია მეცნიერებაში ამ საგნის შესახებ.

ჩვენი პლანეტა დედა-მიწა მზის ოჯახის შვილია. ოდესღაც მშემ ხორკმეტივით მოიგლიჯა და ეს ცეცხლის ბურთი უსახლგრო სივრცეში გასტყორცნა. 1) მას აქეთაა გავარვარებული დედა-მიწა ციბრუტივით ტრიალებს და თან გარშემო უვლის მშეს, თავს ევლება. 2) გაიარეს ბევრმა ათასმა საუკუნოებმა ვიდრე იქამდე გაგრძელდა რო ქერქით შეიმოსა. 3) ამ დროს ორი ვაზი უანგზადი და წყალბადი დაეჯახენ ერთმანერთს და შექმნეს წყალი. მას აქეთაა მოსვენება აღარ ააქვს დედა-მიწას—გულში ცეცხლი სდულს და გარედან წყალი ღრღინის. ცეცხლმა და წყალმა ჩაიგდეს ხელში ჩვენი პლანეტა და ერთმანეთის ჯიბრით, როგორც ნებავთ ისე სკრიან და ისე ჰკერავენ. 4) აბა დააკვირდით: სადაც მინდორ-ვაკეს შეხედვებით ეგ წყალის ნამუშავარია, დამშრალი ზღვის ფსკერია. ხოლო რაც შეეხება აუარებელ მთებს ეგ სულ ცეცხლის ნამუშავარია, დედა-მიწის გულიდან არის ამოხეთქილი. მეტად დიდი დრო, მილიონი წელიწადები დასკირდა დედა-მიწას ვიდრე იმდენად გაცივდებოდა, რომ მის ქერქზე (ზურგზე) შესაძლო ვახდა ცხოვრება—სიცოცხლის აღმოცენება ჯერ მცენარისა და მერე ცხოველებისა. ბოლოს ხო გაჩნდა ადამიანიც, დასახლდა ჯერ ცხელ ქვეყნებში და მას მერე რაც ცეცხლი გამოიგონა ცივს კი არა და ყინულიან ქვეყნებსაც აღარ ერიდება.

*
*
*

რაც შეეხება საზოგადოთ კავკასიას და კერძოთ ჩვენს სამშობლოს იგი სულ ახალგაზდა ქვეყანაა. ერთი მილიონი წე-

1) სულ რვა პლანეტაა ასე მოვლევილი. მათ შორის სიდიდით მეხუთე ადგილი უჭირავს ჩვენს დედა-მიწას.

2) თავის ღერძზე შემოტრიალებას უნდება დღე და ღამე. დანამდვილებით 23 საათი 56 წამი და 4,09 წუთი. ხოლო მზის გარშემო შემოვლას სკირდება ერთი წელიწადი ანუ 365 დღე, 5 საათი და 46 წუთი.

3) დღესაც ქერქის სისქე ზოგან 40 ვერსია ზოგან 120 ვერსი.

4) ნეპტუნიზმი (წყლის ძალა) და ვულკანიზმი (ცეცხლის ძალა) დღეს იმდენად პატივცემული აღარ არის მეცნიერებაში, მაგრამ არც თუ მომხრენი აკლია.

ლიწადი არც კი იქნება მას აქეთ, რაც ზღვიდან თავი ამოყო, დაიბადა. წინეთ ხმელთა შუა-ზღვა, შავი ზღვა, კასპიის ზღვა და არალის ზღვა სუყველა გაერთიანებული იყო-ზღვა-ოკეანეს შეადგენდა. აბა შეხედეთ ჩვენს ბუმბერაზს მთებს იაღბუზს, ყაზიბგეს, ბორბალოს და თვით ამ კავკასიონის მთა-გრებილს, რომელიც ვეშაპივით ორ ზღვას შუაა გაწოლილი. მართლაც და რა ძალამ ასწია ზღვის ფსკერი და რა ძალამ ამოხეთქა, ცამდე ასტყორცნა ცეცხლის ფრქვეველი უზარ-მაზარი მთები კავკასიის აქეთა, სამხრეთი მხარე ანუ საქართველო უფრო ადრე იქცა ხმელეთად, ხოლო ჩრდილო კავკასია მთელი მისი მინდორ-ვაკე ჯერ კიდევ ზღვას ეკირა (ასტრახანის გუბერნია და სხვ.) აკადემიკის ლენცის სიტყვით მას აქეთ რაც კასპიის ზღვა ჩამოშორდა აზოვის და არალის ზღვას 3000 წელიწადი ძლივს იქნება გავლილი. ეს მოხდა ქედის იქით, ხოლო ჩვენი დალოცვილი ქვეყანა ამ დროს უკვე კეკლუც პატარძალივით ირთობოდა, იმოსებოდა მცენარეულობით. ამ უცხოთ შემკულ არე-მარეს, წალკოტსა და სამოთხეს როგორ დაერიდებოდა ადამიანი. ქართველთა ტომს მოაწვნენ სამხრეთიდან და ისიც მოვიდა და შეუპოვრად თამამათ დასახლდა ამ ზღვა მთებს შორის, — ლელეებში, ხეობებში, სადაც კი წყალი და ვაკე ადგილი ხელს უწყობდა.

ღიად რა საშინელი ბრძოლა სწამოზობდა, რა გვარის ძლიერებით პლუტონიური (ცეცხლის) ძალა ხეთქდა და სწევდა ზევით დედა-მიწის ქერქს, ამას ერთი შეხედვითაც ყველა მიხედება ვინც კი დააკვირდება კავკასიის ადგილ მდებარობას და აგრეთვე რელეფს ჩვენი ქვეყნისას.

მეცნიერები ამბობენ მთელი სომხეთი ვულკანების ქვეყანა არისო. ავილოთ არარატი, ალაგიაოზი და ათასი სხვა მომცრო მთები ყველანი ჩამქრალი ვულკანები არიან და სხვა არაფერა. მეცნიერთა გამოკვლევით ახალქალაქის მაღალ მინდორ-ვაკეზე დახრამული, ღრმა-ღელე ხეობები აშკარად უჩვენებენ, რომ ვულკანებიდან ამოხეთქილ-ლაფს (ლაფას) ზოგ ადგილას ორი ათასი ფუტის სიმაღლე ღორღი დაუგროვებიათ. ასევე არაქსის ხეობაში ალაგიაოზიდან ნადენი ლაფის უნარი, დღესაც უტყვარი ნიშნებია იმისი რომ ალაგიაოზი, როდესაც ცეცხლს აფ-



ქვემოთაა
შენიშნულია

რქვევდა თავის გარშემო 200 ვერსი მოედანი ხელში ეკირა — თავზე ასხამდა თავის მდულარე ტალახს. წმიდა ეფრემის მოწმობით უდიდესმა ვულკანმა არარატმა 341 წელსაც ამოხეთქა და თან ისეთის ძალით, რომ მთები მთებს დაეჯახაო.

* * *

რაც შეეხება მიწის ნძრევას კავკასიას მთელ ყოფილ რუსეთში პირველი ადგილი ეკირა. შემახა და არარატია ბუდე-ბუნავია, უმთავრესი ადგილია საიდანაც იწყება ხოლმე მიწის ნძრევის ტალღები. ცნობილი მკვლევარი კავკასიისა, გეოლოგი აასხა ჩამოსთვის რა დროს და სადაც მოხდა ძრეული მიწის ნძრევა კავკასიაში. — მათ შორის ყველაზედ საშინელი: მერვე საუკუნეში დაიღუპა ქალაქი მოზი, რომელიც მდებარეობდა მდინარე არაზის ხეობაში; 863 წელს ერევნის ახლო დაინგრა 7 დვინი, ხოლო 6 წლის შემდეგ ამავე ქალაქში 869 წელს მიწის ნძრევამ ჩანთქა 12.000 სული ადამიანი. უფრო ამაზედ ძრეული იყო მიწის ნძრევა დვინში 893 წ. როდესაც ქვეშ დაიტანა 70.000 მცხოვრები 1139 წ, მეტად ძრეულმა მიწის ნძრევამ დააცარიელა ქალ. განჯა (ელისავეტოპოლი) და იმავე დროს დაინგრა, ქვესენელს ჩაიღუპა უშველებელი მთა ავაკორი (28 ვერსტის მანძილზე ძვეს განჯის სამხრეთით). სადაც მთა იყო იქ დღესაც ტბა არსებობს გვე-გიოლი, 1308 წ. მიწის ნძრევამ დაანგრია მონასტერი თათევისა ბაზარ-ჩაის ხეობაში, ხოლო თერთმეტი წლის შემდეგ კვლავ ინძრა დედამიწა წარმოუდგენელ ძალით. მაშინ დაიღუპა აქ მრავალი ქალაქი და სოფლები და მათ შორის სომხეთის სატახტო ქალაქი ანი, რომელიც ნანგრევების გორად გადაიქცა და მას მერე აღარც აღუდგენიათ ეს ქალაქი. 1679 წ. ძრეული უბედურება ეწვია ქალ. ერევანს და მის მიდამო სოფლებს: დაინგრა ეკლესია-მონასტრები და სხვა შენობები, თანაც ქვეშ მოჰყვა 8 ათასი კაცი. მიწის ნძრევამ 1669 წელს მიწასთან გაასწორა ქალაქი შემახა, — დაიღუპა რვა ათასი სული. 1840 წ. 20 თიბათვეს არარატის მთა ახმაურდა — შეინძრა და შეანძრია მთელი მისი გარემო ადგილები. თან მოჰყვა იმისთანა უცნაუ-

რი მოვლენანი, რომ ყველას ეგონა ახლად უნდა დაიწყოს ცეცხლის ფრქვევაო.

განვიხილოთ საუკუნეში მომხდარ მიწის ნძრევათა შორის აღსანიშნია თავის სიძრვილით შემახაში 1824, 1847, 1859, 1869, 1872 წლებში, ხოლო 1899 წელს, მიწა ძრვიელ ინძრა ახალქალაქის მაზრაში (ჯავახეთში). მაშინდელმა ლელვამ მოიცო უშველებელი არე მარე—5.000 კვადრატ ვერსი.

ათი სოფელი მეტი დაიღუპა ჯავახეთში, რომელთა შორის ზოგი მიწასთან გაასწორა. ეგონათ აბულის მთა კვლავ ამოხეთქს ცეცხლს და ლაფსაო. გეოლოგები მოვიდნენ, ბურღებით ჩასწვდნენ მთის გულში, მაგრამ გაცივებულ მიწის მეტი ვერა ამოთხარეს—რა, სულ ბოლოს დროს ხომ 1902 წელს უბედური ქალაქი შემახა კვლავ დედამიწასთან გაასწორა ამ დედა მიწის საშინელმა ნძრევამ.

* * *

ქვესკნელის ძალას მარტოდენ კავასია როდი ჰყავს ნიშანში ამოღებული. დედამიწის ნძრევა უსაშინელეს მოვლენას წარმოადგენს მთელ მსოფლიოში. თავზარს გვცემს უფრო იმიტომ, რომ ანაზდად, სრულებით მოულოდნელათ გვევლინება და რამდენსამე წაშში მთელს მიდამოს, მთელ ქალაქებს და დაბებს ანგრევს, აოხრებს, მიწასთან ასწორებს, ან ქვესკნელს ისტუმრებს. ურიცხვი ხალხი წყდება, საშინელი უბედურება ტრიალდება. მაგალითად 1755 წ. ლისაბონში მიწის ნძრევამ, რომელმაც მხოლოდ ხუთი წამი გასტანა, 60.000 ადამიანი იმსხვერპლა. სირიაში და მცირე აზიაში 1536 წ. დაიღუპა 120.000 სული, კალაბრიაში 1783 წ. ქვეშ მოჰყვა 30.000 ადამიანი, ხოლო იმ ადგილას, სადაც მდინარე ბრამაპუტრა ოკეანს უერთდება, მიწის ნძრევამ და ციკლონმა შეერთებულის ძალით აუწერელი ჯოჯოხეთი დაატრიალა—300.000 სული ადამიანი იმსხვერპლა.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ რამდენჯერ ან რამდენ ხანს სცემს ხოლმე მიწისნძრევის ტალღა ამა თუ იმ ადგილას. მაგალითად, კუნძულ იამაიკაზე ძრვიელმა მიწის ნძრევამ



1692 წელს სამი წამი გასტანა სოფ.—სალვადორში ათი წუთი, კარავასში (ვენესუელა) 5—6 წუთი და სხვა.

რაც შეეხება იმ სივრცე—მიდამოს, რომელსაც დედამიწის ნძრევის ტალღები ხვდება ხოლომე, ზოგჯერ ძრიელ დიდათ, გავრცელდა ლისაბონში დედა მიწა რომ ინძრა (1755 წ.) მისი ტალღები მოედო მთელ დედამიწის ზურგის $\frac{1}{12}$ ნაწილს სულ რამდენიმე წუთს. ე. ი. 700.000 გეოგრაფიული მილი მოედანი შეანძრია საგრძნობლათ. ამ რიცხვში 300.000 მილი ხმელეთი მოჰყვა, დანარჩენი ზღვა-ოკეანეს ერგო. ჩილიის მიწის ნძრევამ 1822 წ. უბედურება დაატრიალა 400.000 გეოგრაფიულ მილის სივრცეზე. ერთხელაც საოცარი ამბავი მოხდა ამერიკაში მიწა ინძრა და პეტერბურგის ახლო პულკოვის ობსერვატორიაში ტელესკოპებმა შექმნეს ცახცახი.

ილია აღმაშენებელი.



ძილი.

(სამეცნიერო ნაწევრება).



დღეს, ჩემო პატარა მკითხველო, კიდევ ძილის შესახებ მინდა გესაუბრო. თუ გახსოვს, წინა წერილში ჩვენ ვსთქვით, რომ ზოგი მეცნიერი ძილის, ანუ დაძინების, მიზეზად სთვლის „დაღლილობის შხამს“, რომელიც მათის აზრით ტვინში გროვდება და იწვევს ძილს. მაგრამ ბევრი კი ამ მოვლენას სხვანაირათ გვიხსნის. მათის აზრით მწოლიარე ადამიანის ტვინში სისხლი კარგათ ვერ მუშაობს, სისხლი კარგათ მოაწვება და ძილი ამისგან მოეკიდებაო. ეს აზრი მართალი არ გამოდგა: ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა ადამიანს თავის ქალა დაზიანებია ისე რომ ტვინიც კი გამოსჩენია. ამ გვარათ დაშავებულ კაცის ტვინის დაკვირვებამ ექიმები ნათლად დაარწმუნა, რომ ძილის დროს ტვინში სისხლი არა თუ მატულობს პირიქით კლებულობს კიდევ.

ზოგი ძილის მიზეზს ტვინის და საზოგადოთ ნერვების უჯრედების დაღლილობაში ეძიებს. ტვინი, მათი აზრით, წარმოადგენს ერთგვარ მანქანას, როცა მას ასამუშავებელი მგზნებარე მასალა მოაკლდება, გაჩერდება, აღარ იმუშავებს. ასეა ტვინიც და აგრეთვე მისგან გამომდინარე ნაზი მოთეთრო ძაფები—ნერვები, როცა მათ ნაკლები ჟანგბადი მიუღის-ის მუშაობას შესწყვეტს; დაისვენებს და ამ დასვენების გამომხატველია—ძილი. ძილის დროს ტვინში ისევ მოგროვდება საჭირო და საკმაო ჟანგბადი, ადამიანი იღვიძებს და ჩვეულებრივ მუშაობას ეწევა.



ქართული
საბჭოთაო

გერმანელი სწავლული — ექიმი ბინტი ამობს დღისით, ღვიძილის დროს, ადამიანი მუშაობს, მისი ტვინი ანგარიშს უწყევს მრავალგვარ შთაბეჭდილებას, რომელთაც მას თვალი, ყური და საზოგადოთ გრძნობის ორგანოები უგზავნის, ტვინში მის გამო თავს იყრის ისეთი ნაწარმოებნი, რომელთა გავლენითაც იგი იღლება, ნერვების უჯრედების მუშაობა ფერხდება შეჩერდება — ადამიანი დაიძინებს.

შემდეგმა გამოკვლევებმა სწავლულები დაარწმუნა, რომ ეს დაღლილობის ნაწარმოებნი მარტო ტვინში როდი გროვდება, არამედ მთელ სხეულშიაც და განსაკუთრებით კი კუნთებში. ფრანგმა მეცნიერმა რიშემ მტრედებს ტვინი მთლად ამოჰკრა, ამოაცალა, მაგრამ ამის და მიუხედავად მტრედები მაინც თავ-თავის დროზე ფხიზლობდნენ და იძინებდნენ; ტვინი ამოკრილმა ძაღლმა წელიწად ნახევარი იცოცხლა. $\frac{1}{2}$ წელი, საქმელ სასმელ ჩვეულებრივ ჯამდა და კარგადაც ეძინა. როგორც სჩანს ჩვენ მაგალითებიდან ტვინს მაინც და მაინც დიდი მნიშვნელობა არ ჰქონია ძილის მოსვლაში.

საიდგან ჩნდება დაღლილობის ნაწარმოები, ან რას წარმოადგენს ის, ეს ჯერ გამოკვლეული არ არის, ვიცით მხოლოდ, რომ ძილა მთელი ჩვენი ასოტანის, მოქანცვისა და დაღალვის შედეგი. ჩვენს სხეულში მოთავსებულია ერთგვარი ორგანოები, რომელთაც ჯირკვლები ჰქვია; ასეთი ჯირკვლებია, მაგალითათ, ენის და ქვედა ყბის ქვეშ, კისერზე და ბევრ სხვა ალაგას. სხვა და სხვა ჯირკვლებში მზადდება სხვა და სხვა გვარი სითხე რომელთაც განსაკუთრებული დანიშნულება აქვს; ზოგ ჯირკვალის თავისად დამუშავებულ სითხის გამოსადენი მილიც აქვს. ზოგს მაგ. კისრის ანუ როგორც მას ეძახიან ფარის მინაგვარ ჯირკვალს ასეთი ბოლო აქვს. მისი ნაყოფი პირდაპირ სისხლში გადადის. ამგვარ ჯირკვლებს საზოგადოთ „მინაგან სეკრეციის“ მქონებელ ჯირკვლებს უწოდებენ. ფიქრობენ რომ ძილი ამ ჯირკვალის ცხოველმოქმედობის შედეგიაო. თუ რამდენათ მართალია ეს მოსაზრება — ამაზე ჯერ სწავლულებს გადაჭრილი და დასაბუთებული პასუხი არ მოუციათ.

ი. თიკანაძე.



ქვის ღომი.

(ზღაპარი)



სცხოვრობდა დედა ორი ვაჟიშვილით. მამა არა ჰყავდათ უფროსი ვაჟი ჭკვიანი იყო, მაგრამ ბოროტი, უმცროსი კი — კეთილი და პატიოსანი. უფროს ძმას არ უყვარდა. უმცროსი პატიოსანი აღამიანი იყო და არასფერს ცუდს არ იკადრებდა. უფროსმა ერთხელ უთხრა უმცროს ძმას:

„გასწი, მოშორდი, შენი ატანა აღარ შემიძლიაო!

უმცროსმა ძმამ არაფერი არ უთხრა, წავიდა დედასთან გამოსამშვიდებლათ უნდადა წასულიყო ბედის საძებნელათ. დედამ, საქმის ვითარება გააგო, არ მოინდომა უფროს ვაჟთან დარჩენა და იმანაც წასვლა მოისურვა.

მეორე დღით დედა და შვილი გაუდგენ გზას. თვითონაც არ იცოდენ, სად მიდიოდენ, საღამოთი მიადგნენ ერთ ქობს. არავინ არ სჩანდა, არასფერი ხმა არ ისმოდა. შეიხედნენ ქობში — მარტო ერთი ცული ეგდო კარებთან.

დედა შვილი შევიდნენ ქობში, ივანშმეს და დაიძინეს.

დღით, რო გამოიხედეს, ნახეს, რომ ქობთან ამართულა ვეება მთა, ხშირი ტყით დაბურული შვილმა აიღო ცული, გავიდა ტყეში, მოსჭრა შეშა, წაიღო მახლობელ ქალაქში და გაჰყიდა კარგ ფასში. საღამოთი დაბრუნდა მზიარული.

— „დედავ, ეხლა არა გვიშავს რა, შიმშილით აღარ დავინაცვებით“.

ყოველ დღე მიდიოდა ქალაქში და მოჰქონდა შეშა. ყოველისფერი საკმაოდ ჰქონდათ.

ერთხელ ვაჟი შევიდა ტყის სიღრმეში. მთის ფერდობზე დაინახა ქვისაგან გამოქანდაკებული ლოპი.



ქართული
ბიბლიოთეკა

— „აღბად, ეს ამ მთის მფარველია, — გაიფიქრა გულში, ხვალ რაიმე მსხვერპლს შევწირავო“.

იყიდა ორი სანთელი დაუწყო, თან კი ლოცულობდა, უეცრად ლომმა ვეება ხახა დაალო და ჰკითხა:

— რას აკეთებ იქ?

ვაჟმა ყველაფერი გულახდითა თუამბო, თუ როგორ გამოავლო ძმამ, როგორ სცხოვრობენ ის და დედა მისი ქობში, მთის ძირას.

ლომმა უბრძანა:

— ხვალ მოიტანე კასრი და ოქროებით გაგივსებო.

მეორე დღით ვაჟმა მოიტანა კასრი და ლომს პირთან მიუდგა.

ლომმა უბასუხა:

— იცოდე, როდესაც კასრი გაივსება, მითხარ თორემ ერთი ოქროც რომ დავარდეს მიწაზე, ცუდი დღე დაგადგება“.

ვაჟმა აასრულა ლომის ბრძანება და მალე მიუტანა დედას ოქროებით სავსე მთელი კასრი.

ამ ფულით იყიდა მშვენიერი სახლი და დასახლდა. ყოველისფერში ბედი გაეხსნა ამ ვაჟს. რასაც ხელს მოჰკიდებდა, ყველაფერს ჩინებულათ აკეთებდა. მთელი დღე მუშაობდა და ცოლშვილდა კიდევ.

უფროსმა ძმამ შეიტყო რა ბედიც ეწია უნცროს ძმას, მისი ნახვა გადასწყვიტა, და ცოლშვილით ესტუმრა. უმცროსი ძმა ტკბილად დაუხვდა, უამბო თავისი თავ-გადასავალი, უამბო, როგორ იშოვნა ოქრო, უამბო, სად არის ლომი.

უფროსი ძმაც გაეშურა ლომთან კასრით. ლომი იმასაც დაჰპირდა ოქროს მოგცემო, მხოლოდ გააფრთხილა:

— „მითხარი, როდესაც გაივსება კასრი, თუ ერთი ოქრო დავარდა მიწაზე, უბედურობა დაგემართება“.

უფროსი ძმა სულ ანძრევდა კასრს, რომ ოქროები მკიდროთ ჩლაგებულებენ. რახანია კასრი აივსო მაგრამ ლომს არ ეუბნებოდა, უნდოდა მეტი ოქრო წაეღო. უცბად ერთი ოქრო გადმოგორდა მიწაზე. ლომმა უთხრა:

„ყელში ერთი დიდი ოქრო ჩამრჩა, ჩაჰყავ ხელი და ამომაძრე. ყველაზე დიდი ოქროა-ო ვაჟმა ჩაუყო ხელი ხახაში.“

ლომმა პირი მოკუმა და ხელი შიგ მოატანა. კასრში, რო მიწათ და ქვიშათ იქცა.

დაღამდა უფროსი ვაჟის ცოლი შესწუხდა, ქმარი რა ვერ ნახა დაბრუნებული წავიდა საძებნელათ. ძლივს მიაგნო. რო დაინახა რა დღეში იყო მისი ქმარი ანუგეშა, როგორც შეეძლო და საქმელი მოუტანა. ყოველ ცისმარე დღეს მოდიოდა ქალი და საქმელი ქმრისათვის მოჰქონდა. ბოლოს გამოვლია ფული, შვილი ავით გაუხთა, თვითონაც დაღლილობისაგან დასუსტდა. მივიდა ერთხელ ქმართან და უთხრა:

„გამოგველია საქმელი, სიმშლით უნდა დავიხოცოთ. ოხ! რათ დახარბდი ოქროს“.

ლომმა რომ ეს გაიგო, გაღიხარხარა. კაცმა იდროვა და ღია ლომის ხახიდან გაინთავისუფლა. გახარებული ცოლ-ქმარი მაშინვე გაჰმორდენ აქაურობას. და მოვიდენ უნცროს ძმასთან ამან შეიცოდა უმფროსი ძმა და სახლის ასაშენებლათ ოქროები მისცა. უმფროსი ძმა ცოლ-შვილით და დედით ბედნიერათ სცხოვრებდენ თავის მშენიერ სახლში, და მუდამ მადლობით იხსენიებდენ ქვის ლომსა, რომელმაც მიანიჭა მათ ყოველივე ბედნიერება.

ა. ფ.





სხვა და სხვა ამბები.

ხარხმა აჯობა ღონესა.

რაქის ერთ მივარდნილ სოფელში უზარმაზარ ტყით შემოსილ მთის ძირში ცხოვრობდა ბავშვების და ცხოველების მოყვარული ერთი მოხუცი. მოხუცებულის ქონებას შეადგენდა ნახევრად დანგრეული ქოხი, და ერთი ბებერი მწვეარი, რომელიც, როგორც ეტყობოდა, ოდესღაც თავის პატრონ მონადირეს დაშორებოდა და მოხუცის სახლთან მოსულიყო. მოხუცი კალათების წვნით და კეთილი ხალხის შემწეობით სკამდა ლუკმას, რასაც უზიარებდა თავის ერთგულ ძაღლს. დადგა საშინელი ზამთარი, თოვლმა დაჭურა მთელი არე-მარე. მოხუცის ქოხი თოვლისაგან აღარ სჩანდა. მხოლოდ ამომავალი კომლით შეეძლო ადამიანს გაეგო რომ იქ ადამიანი სცხოვრობდა.

რადგანაც მოხუცის სახლიდან სოფელი მოშორებით იყო, მონველლარ გაატანა სოფელში დიდი თოვლის გამო. ხორავი შემოაკლდა, ამიტომ იგი თავის მწვერით შიმშილს განიცდიდა. მთაში მიხდევდა, საცალფეხო ბილიკი რომელსაც ნადირით საესე ტყეში მიჰყავდა, ადამიანი. მთის ბილიკის მეორე მხარეზე ღრმა ხრამი ჩასდევდა. მწვეარი შიმშილმა შეაწუხა, მან ვასწია ტყისკენ სადაც ნადირი ეგულებოდა, გაჰყვა ვიწრო თოვლით დაფარულ ბილიკს. შუა გზა რომ გაიარა მას შეეყარა მშვიერი მგელი, მწვეარი შიშით აცახცახდა უკან გამოქცევას აპირებდა მაგრამ მოტრიალება არ შეეძლო ადგილის სივიწროვის გამო; ხრამში გადავარდნა და სიკვდილი ელოდა. მგელმა დაალო საშინელი ხახა და უთხრა: „მინც ხომ შეგკამდა ბარემ ერთი რამ მასწავლეო: რატომ თქვენ ძაღლებს ზამ-

თარში არა ქცივათო?“ წევარს იმედი მისცა ამ სიტყვებში და ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ უბასუხა „ჩვენც იმიტომ არ გვცინვა რომ დაწოლის წინ სამჯერ ნელა დავტრიალდებით და მერე დაწვევებითო. დასარწმუნებლად ასე მოიქეცი და თუ არ გათბე შემქამეო. მგელს სიხარულმა თავი დაუბრუნა სამჯერ დატრიალდა და შემდეგ დაწვა. წევარმა იდროვა დაწოლილ მგელს თავზე გადაახტა. მგელი ვიწროში მოიქცია იქიდან ხრამში გადაადგო, და დაუძახა: „სადაც შენი სთქვა იქ ჩემი დაიქადნეო“.

როგორ მუშაობენ უშტკრები.

ფუტკრების ცხოვრება ბევრ ნასწავლებლისაგან არის შესწავლული და გამორკვეული, დიდი ხანი არ არის მას აქეთ რაც ერთმა მეფუტკრემ თავისი და სხვების დაკვირვებით გამოიანგარიშა, რომ ფუტკარმა ერთი მეოთხედი ბორჯომის ბოთლი თავლი რომ გააკეთოს 12.000 ყვავილზე, უნდა იმომგზავროს თავისი ნაცოფიერ მუშაობის დროს თიბათვეში. ერთი სკის ფუტკარმა ყოველ დღე ერთი ორად-უფრო მეტი მანძილი უნდა გაიაროს ვიდრე დედა მიწა მთვარესთან არის დაშორებული.

ბუნებრივი გზის მაჩვენებელი.


ყველამ კარგად იცის რომ დაბურულ ტყეში თუ გზას გადუხვიეს ადვილათ დაებნევათ. თუ ვინიციობა თან გზის მაჩვენებელი, კომპასი არ აქვთ და ამასთანავე ღრუბლიანი დღეა და მზის მიმართულება არა სჩანს. დაკვირვებული ადამიანი მაინც ადვილათ გამოირკვევს და სწორე გზაზე დაადგება.

უწინარეს ყოვლისა უნდა ეცადოთ სწორე გზას დაადგეთ იმიტომ საჭიროა მოსძებნოთ იმისთანა ხე რომელიც განმართებული სდგას. ეს ხე კარგათ დაათვალიერეთ. ამ ხის კანი სამხრეთისაკენ გვრილია, მაგარი და უფრო ღია ფერისა ვიდრე ჩრთილოეთის მხარეზე.

ჩრთილოეთისკენ. ხის ძირში სქელი ხავსია. წებო ნაძვის ხოქას, ფიქვის და ფოთნარი ხეებ-ნახეთქიდ.მ სამხრეთისაკენ




გადმოდის და ამასთანავე უფრო ღია ფერისაა ჩრთილოეთისკენ
 კი მუქი ნაცრის ფერია და მტვრიანი. ამას გარდა ფურცლები
 ჩრთილოეთისკენ უფრო მაგარია მუქი ფერისა და ძარღვი
 ისე კარგათ არ ემჩნევა როგორც სამხრეთის მხარეზე, სადაც
 ფოთლები უფრო მაგარია, მომცრო და ძარღვები უფრო გარ-
 კვევით მოსჩანს. ქვები სამხრეთისაკენ ტიტველია, ჩრთილოე-
 თისაკენ ხავსით არის შემოსილი. ობობა ხევებზე თავის ქსელს
 სამხრეთისაკენ ქსელავს.



მოძრავი ძეგლები.

ამერიკის ყველა ქალაქებს იმდენი საშუალება არა ჰქონ-
 დათ რომ თავიანთი პატრიოტული ძეგლები გაეკეთებინათ
 უბრალო დროს მოქალაქენი მზის ნაკლულეფანებას არ გრძნო-
 ბდნენ მაგრამ როდესაც რამე პატრიოტული დღესასწაული
 დღესასწაული დადგებოდა ანუ ვინმე გამოჩენილ-სახელმწიფო
 პირი ეწვევოდა მაშინ მოქალაქენი ცუდ მდგომარეობაში
 იყვნენ ჩავარდნილი. მათი უზარ-მაზარი მოედნები გატიტვლე-
 ბული იყო. რომ ისინი ამ გაჭირვებულ მდგომარეობიდან დაე-
 ხსნათ ნიუ-იორკში შესდგა მოძრავი ძეგლების და სტატუების
 საზოგადოება. ამ საზოგადოებამ მოამზადა ოთხასზე მეტა ძეგ-
 ლი. ვაშინგტონისა, ლანკოხისა კლიველენდასა და თავისუფ-
 ლების ერთობას სტატუები და ობელსკები, რომელიც პირვე-
 ლი მოთხოვნისა თანვე ეგზავნებათ რკინის გზის ან ხომალდის
 საშუალებით. ამ მოედნიმე დღის განმავლობაში თავიანთ
 მოედნებს აწარმოებდნენ. როცა საქირო აღარ არის ყველა ეს
 ძეგლები და სტატუები ნაწილ ნაწილათ დაიშლება ყუთებში
 ფრთხილად ჩაალაგებენ და ისევ ნიუ იორკში საზოგადოების
 საწყობებში ჰგზავნიან.





ეროვნული
ბიბლიოთეკა

საუმაჯვილო ნახატებიანი ჟურნალი

===== **ჯ ე ჯ ი ლ ი** =====

დაარსებული 1890 წ.

მიიღება ხელისმომწერად 1920 წ.

მთავრობის დახმარებით ჯეჯილი უზრუნველყოფილი იქნება.

ხელისმომწერლები დროზე მიიღებენ ჟურნალს.

ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

————— წლიურათ ეღირება 100 მანეთი. —————

ჟურნალმა მონაწილეობას აღებენ საუკეთესო მადება და ახლათ შემდგარი კომისია შეიკრება ჟურნალის ნორმ შეთხვევებს მაწოდოს სალი გონებრივი საზრდო.

მისამართი: თბილისი, საუმაჯვილო ჟურნალი „ჯეჯილის“ რედაქცია (არტილერიის ქ. № 5).

რედ.-გამ. ან. წერეთლიძე.